თბილისის ოპერის თეატრმა წარმატებით დადგა რუსი საბჭოთა კომპოზიტორების ნაწარმოებები: ძიგენისკის „წყანა რი დონი“, ჩიშკოს „ჯავახიშანი პოტოტომი“, პაშენიკოს „არჩილია ჯანკი“, ფემელინის „ოლევეა“. ქართული ოპერის სცენაზე უდიდესი წარმატება წილად ხვდა უკრაინული მუსიკის კლასიკოსის ნ. ლისენკოს ნაწარმოების „ტარას ბულბას“, უკრაინული საბჭოთა კომპოზიტორის ა. დანკევჩის ოპერის „ბოგდან ხმელნიცის“ დადგმებს. ამავე თეატრში 1932 წელს საბჭოთა კავშირში პირველად დაიდგა სიმსუერი მუსიკის შესანიშნავი ქმნილება — ა. სპენდიაროვის ოპერა „ალმასტი“. აღანიშნავია ისიც, რომ პროკოფიევის ნოვატორულმა ოპერამ „სემინი კოტკომ“ ტუმბარატი თეატრალური ცხოვრება თბილისის საოპერო სცენაზე პირობა (1964). აქვე დაიდგა პროკოფიევის ბალეტი „ზოლუშკა“.

თავის მხრივ მოკავშირე რესპუბლიკათა დედაქალაქების, რუსეთის ფედერაციისა და უკრაინის მთელი რიგი ქალაქების ოპერის თეატრებმა დიდი მონაწილეობით და მხატვრული ოსტატობით დადგეს ქართული ოპერები „აფსალომი და ეთერი“, „დაისი“, „ქეო და კოტე“, „დაუპატყვებელი ტყუმრები“, საბავშვო ოპერა „წითელიქუდა“, ბალეტები — „მთების გული“, „ოტელი“ და სხვ.

ქართველი საზოგადოებრიობა აღფრთოვანებით ხვდებოდა გამოჩენილ საბჭოთა მსახიობთა კონცერტებს.

თავის მხრივ მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, ხარკოვის, ბაქოს, ხერცოლდისკის, სარატოვის, ოდესის, ერევნის, ტაშკენტის, ალმა-ატის, აშხაბადის, ბალტიისპირეთისა და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებში დიდი წარმატებით გამოდიოდნენ საუკეთესო ქართველი შემსრულებლები.

საბჭოთა კავშირის მოძმე რესპუბლიკათა ქალაქებში მრავალრიცხოვან მასშტაბულად სიხარულს და აღფრთოვანებას იწვევდა ქართული ბალეტის მსახიობთა გამოსვლები.

ქართული მუსიკალური კულტურის მიღწევათა დემონსტრაციას წარმოადგენდა ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დღეები მოსკოვში 1937 წლის იანვარსა და 1958 წლის მარტში.

მომძე რესპუბლიკებში დიდი წარმატებით მართავდნენ კონცერტებს საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლი, სიმღერისა და ცეკვის პროფესიული და ხალხური გუნდები სანთრო კასადის, კორილე ბუკორიას, მარო თარხნიშვილის, აკსენტი მერგოლიძის და სხვ. ხელმძღვანელობით, საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სიმფონიური ორკესტრი, პრადის საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი, საქართველოს სახელმწიფო კვარტეტი, ბ. ტიაურელის, გ. ხატიაშვილის, ა. ბგელიშვილის, მ. ბარნაბიშვილის ხელმძღვანელობით, საესტრადო ანსამბლები, აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის ხალხური სიმღერებისა და

<sup>1</sup> გაზ. „ზარია ვოსტოკა“ 1958 წლის 9 მარტი.

<sup>2</sup> გაზ. „პრავდა“, 1940 წლის 13 იანვარი.

ცვეის ანსამბლები, უმაღლესი სასწავლებელთა თვითმომქმედი კოლექტივები.

პროფესორულ შემსრულებელთა კოლექტივებს შორის არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ მთელ მსოფლიოში უდიდესი პოპულარობა მოიხვეჭა საქართველოს ხალხური ცვეის სახელმწიფო დამსახურებულმა ანსამბლმა სსრ კავშირის სახალხო არტისტების ილიკო ხუხიშვილისა და ნინო რამიშვილის ხელმძღვანელობით. ანსამბლის სისტემატური გამოსვლები ყველა მოკავშირე რესპუბლიკის მშრომელთა წინაშე და უსოიების ბერე ქვეყანაში დიდად უწყობს ხელს სოციალისტური კულტურის მიღწევათა პროპაგანდას და სოციალიზმის პირველი სახელმწიფოსადმი სახელვარგარეთის ქვეყნების მშრომელთა სიმპათიის ზრდას.

მოკავშირე რესპუბლიკების თიბრის თეატრების, პროფესიული და ხალხური მუსიკალური კოლექტივების სისტემატური გამოსვლები საქართველოში საბჭოთა კულტურის ზეიზად იქცევა.

ამრიგად, ქართული მუსიკალური კულტურა ვითარდება სსრ კავშირის მოძმე ხალხთა მუსიკალურ ხელოვნებასთან მჭიდრო კავშირში მსოფლიო მუსიკალური კულტურის მიღწევათა ათვისების საფუძველზე.

საბჭოთა მრავალეროვანი ხელოვნების შემოქმედებითი თანამგობრობის პირობებში სოციალისტური რეალიზმის ერთად ნაკადში ვითარდება და სრულყოფილი ხდება ქართული სახეითი ხელოვნება — ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება.

ქართული ეროვნული მხატვრული შემოქმედების პროგრესულ განვითარებას მძლავრი ბიძგი მისცა ურთველმა კავშირმა რუს ხალხის კულტურასთან, დიდი რუსი მხატვრები ი. რეპინი, კ. ბორიულოვი, გ. გაგარინი, ვ. ვერეშჩაგინი, ვ. ვასნეცივი და სხვ. თავიანთ შემოქმედებითს გამოცდილებას და ცოდნას უზიარებდნენ ნიჭიერ ქართველ მხატვრებს. საქართველოში სახეითი ხელოვნების განვითარებაზე განსაკუთრებით დიდ მზრუნველობას იჩენდა ი. რეპინი, რომელიც ჯერ კიდევ 1897 წელს სტატიაში „საჭიროა თუ არა ხელოვნების სკოლა თბილისში“ წერდა:

„არ შეიძლება იმის ფიქრი, რომ თავისი ხასიათით ასეთ-მა შესანიშნავი ქვეყანაში არ წარმოიშვას მხატვრული ძალები. მე მჯერა, რომ კავკასიის მხატვრული შემოქმედების ხანა წინ არის. ეს საცარიე, საუცხოო ქვეყანა მოგვეცემს მხატვრებს, რომლებიც დირსულად ასახავენ მას ხელოვნებაში“<sup>3</sup>.

შესანიშნავი რუსი მხატვრების მოწაფეები იყვნენ გიგო გაბაშვილი, იაკობ ნიკოლაძე, ალექსანდრე მრეკელიშვილი, მოსე თოიძე და ქართული სახეითი ხელოვნების სხვა გამოჩენილი მოღვაწეები.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ სახეითი ხელოვნების დიდი აღმავლობას ხელი შეუწყო ქართველი მხატვრების შემოქმედებითმა ურთიერთკავშირმა და თანამშრომლობამ მოძმე რესპუბლიკათა ხელოვნების ოსტატებთან, გამოყენების გაცეცხლამ, ძველთა პროექტების კონკურსში მონაწილეობამ და სხვ.

ქართველ მხატვართა მიღწევების პირველი დემონსტრირება მოხდა 1926 წელს მოსკოვში მოწყობილ გამოფენაზე „სსრ კავშირის ხალხთა ყოფა-ცხოვრება“. ერთი წლის შემდეგ ქართველ მხატვართა საკუთესო ნაწარმოებები წარსენებოდა მოსკოვში საბჭოთა ხელისუფლების ათი წლისთავისადმი მიძღვნილ გამოფენაზე.

ეს გამოფენები მოწოდებდნენ, რომ საბჭოთა ხელისუფლების წლებში ქართველმა მხატვრებმა საკმაოდ მნიშვნელოვანი შემოქმედებითი გამოცდილება დააგროვეს, ამაღლდა მათი იდეურ-პროფესიული დონე, გაფართოვდა თემატური დიაპაზონი, ფორმალისტურ გაუღვენათა წინააღმდეგ ბრძოლაში გამიწვრთნენ ქართული სახეითი ხელოვნების რეალისტური ძალები.

საქართველოში მრავალჯერ მოეწყო რუსეთის ფედერაციის, უკრაინის, ბელორუსის, აზერბაიჯანის, სომხეთის, ლატვიის და სხვა მოკავშირე რესპუბლიკათა მხატვრების ნაწარმოებთა გამოფენები. ეწყოზოდა აგრეთვე საკავშირო სამხატვრო გამოფენები. თავის მხრივ მოძმე რესპუბლიკათა მხატვრებს და ფართო საზოგადოებრიობას ბევრჯერ ჰქონდათ შესაძლებლობა გაეცნობდნენ ქართული სახეითი ხელოვნების ოსტატთა შემოქმედებას.

ეს გამოფენები, შემოქმედებითი დიკუსიები, რესპუბლიკათაშორისო კონფერენციები, რომლებიც ტრადიციად იქცა, კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენდნენ მხატვართა შემდგომ შემოქმედების ზრდაზე, მოძმე რესპუბლიკათა ხელოვნების ურთიერთგამდიდრებაზე.

წვიმის „ბელორუსიის სსრ-ის სახეითი ხელოვნება“ აღნიშნულია, რომ „ქართველ მხატვრებთან შემოქმედლების შეჯიბრებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბელორუსიის სახეითი ხელოვნებისათვის“<sup>4</sup>. მოძმე რესპუბლიკების მხატვრებთან შეჯიბრება და ამხანაგური შეჯიბრი აგრეთვე წარმოადგენს საქართველოში მხატვრული შემოქმედების განვითარების უმნიშვნელოვანეს ფაქტორს.

დიდი სამამულო ომის წლებში საქართველოში მუშაობდნენ საბჭოთა სახეითი ხელოვნების დიდოსტატები — ა. გერასიმოვი, ი. გრაბარი, ვ. სვაროვი, ი. პავლოვი და სხვები. საბჭოთა ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწეინ ახლოს ეცნობოდნენ ქართველ მხატვართა ნაწარმოებებს, ათვალთვლიდნენ მათს სახელოსნოებს, მონაწილეობდნენ შემოქმედლების საღამოებში. „გულთბილი საურბები ი. გრაბართან და ა. გერასიმოვიან, — იფიქრებდა თვალსაჩინო ქართველი მხატვარი და მოქანდაკე თამარ აბაკელია, — მათი აღტაცება და მეგობრული, მომბიბლავი რჩევა-დარიგება თანდათანობით გავლენას ახდენდნენ ჩემზე, მე ახლებურად შეგხედე ზოგიერთ რამეს, თუმცა არ ვმალავდი ჩემს უთანხმოებას მათთან“.

რესპუბლიკის მხატვრულ ცხოვრებაში დიდი მოვლენა იყო სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის გამსვლელი სესია, რომელიც გაიმართა თბილისში 1964 წლის მაისში. სესიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის სახალხო მხატვრებმა ვ. სეროგმა, ე. ვუჩეტიმა, რუსენ სახალხო მხატვრებმა

<sup>3</sup> გაზ. „კავკაზი“, 1897 წლის 9 იანვარი, № 7, თბილისი.

<sup>4</sup> Исобразительное искусство Белорусской ССР, М. 1957, გვ. 19.



ა. გრიცამი, ი. რომასმა, დ. შმარინოვა, ვ. ორენიკოვა და სხვ. გამოთქვა მრავალი კონკრეტული წინადადება რესპუბლიკაში სახვითი ხელოვნების შემდგომი აღმავლობისათვის.

უკანასკნელ წლებში დიდი წარმატება ხვდა სსრ კავშირის სახალხო მხატვრის უჩა ჯაფარიძის და ლაღო გუდიაშვილის ნაწარმოებთა პერსონალურ გამოფენებს მოსკოვში.

რუსი და ქართველი ხალხების საუკუნობრივი მეგობრობა ერთხელ კიდევ დაადასტურა მოსკოვის ერთ-ერთ ცენტრალურ მაგისტრატზე, ბოლშაია გრუზინსკაიას ქუჩის სკვერში შოთა რუსთაველის ძეგლის აღმართვამ. (მოქანდაკე მ. ბერტინი-შვილი).

საბჭოთა საქართველოს კულტურულმა თანამშრომლობამ მოძმე რესპუბლიკებთან მკაფიო გამოხატულება ჰპოვა აგრეთვე არქიტექტურის დარგში. სამრეწველო საწარმოების, სასოფლო-სამეურნეო შენობების, სკოლების, კლუბების, საცხოვრებელი სახლების და მთელი კომპლექსების აგებაში, ქალაქების კეთილმოწყობასა და რეკონსტრუქციაში ქართველ ხუროთმოძღვრებს ფასდაუდებელი დახმარება ამოუჩინეს რუსეთის ფედერაციისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკათა არქიტექტურის ოსტატებმა. მაგალითად, თბილისის ერთ-ერთი დიდებული ნაგებობის — მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის შენობის აგებობა სსრ კავშირის დამსახურებული არქიტექტორი ა. შნაუცი. ამ ხუროთმოძღვარმა, რომელსაც მხატვრული ტაქტი და არაჩვეულებრივი ალღო ჰქონდა, შექმნა უაღრესად ემოციური, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების საღარი ძეგლი.

ქართველი არქიტექტორების ტიპიური პროექტების მიხედვით (რომელთა კატალოგი მოიცავს საცხოვრებელი სახლების, სკოლების, საბავშვო დაწესებულებათა, კლუბების, კინოთეატრების და სხვა ნაგებობათა მს-ზე მეტ დასახლებას) მშენებლობა მიმდინარეობს არა მარტო საქართველოში, არამედ საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში.

ანრიგად, ქართული სახვითი ხელოვნება და არქიტექტურა

განუხრელად იზრდება და ვითარდება ჩვენი ქვეყნის ერთიანი მრავალეროვანი მხატვრული კულტურის კალაპოტში.

მომე რესპუბლიკებთან საბჭოთა საქართველოს კულტურული კავშირუბიერთობის განმტკიცებში დიდწილურ როლს ასრულებს პერიოდული პრესა, რადიო და ტელევიზია. გაზეთების — „კომუნისტის“ და „ზარია ვოსტოკის“ თაოსნობით მრავალი წვლილი ერთმანეთს მეგობრულად ეკიბრებიან და მუშაობის გამოცდილებას უზიარებენ მოკავშირე რესპუბლიკათა დედაქალაქები — თბილისი და რიგა, თბილისი და ერევანი, ქალაქები — ქუთაისი და კიროვანი, ქუთაისი და ლენინკანი, ფოთი და ვლანოვი, რუსთავი და სუბგაითი. რესპუბლიკური გაზეთები სისტემატურად უძღვნიან მიუღ წიომრებს და სპეციალურ გვერდებს მოძმე რესპუბლიკებს — რუსეთის ფედერაციას, უკრაინას, ბელორუსიას, ყაზახეთს, აზერბაიჯანს, სომხეთს, ლიტვას, ლატვიას, ესტონეთს, მოლდავეთს და სხვ. საქართველოს პერიოდული პრესის, რადიოსა და ტელევიზიის ერთ-ერთი წამყვანი თემა მოკავშირე რესპუბლიკათა იდეებია, თეატრალური კოლექტივების, მხატვართა, კომპოზიტორთა, თვითმომქმედი ხელოვნების ოსტატთა შემოქმედებით მიღწევების გაშუქება. მოკავშირე რესპუბლიკების პრესა ასევე აშუქებს საქართველოს კულტურულ ცხოვრებას.

საქართველოს რადიომ და ტელევიზიამ მუდმივი კავშირი დაამყარეს მოკავშირე რესპუბლიკათა რადიო და ტელეგადამცემობა. ტრადიციად იქცა გადაცემათა პროგრამების რეგულარული გაცემა, რაც ამდიდრებს, უფრო საინტერესოს ხდის მათ შინაარსს.

1964 წლის 1 იანვრიდან მუშაობა დაიწყო საბჭოთა კავშირში ყველაზე გრძელმა რადიორეკონსტრუქციამ ხაზმა მოსკოვი — თბილისი. ეს იყო უნიშვნელოვანი მოვლენა რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებაში. საქართველოს ტელევიზია ჩაერთო ცენტრალური ტელევიზიის, აგრეთვე ინტერვიზიისა და ევროვიზიის ქსელში. ამას გარდა, ამიერკავკასიის რესპუბლიკათა შორის სატელევიზიო პროგრამების გაცვლის მიზნით მწყობრ-ნი ჩაიდა რადიორეკონსტრუქციის ხაზი თბილისი — ბაქო და თბილისი — ერევანი.

რადიოსა და ტელევიზიის საშუალებით ჩვენი ქვეყნისა და მთელი მსოფლიოს კულტურული მონაფარანი მშრომელთა ფართო ფენების მისაწვდომი გახდა.

ქართველი ხალხი ავითარებს თავის ხელოვნებას სსრ კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების ხალხებთან ძმური თანამშრომლობის, ეროვნულ კულტურათა ურთიერთგამდიდრებისა და კულტურულ ფასეულობათა გაცვლის საფუძველზე. სსრ კავშირის ხალხთა სოციალისტურ კულტურათა ინტერნაციონალური ერთიანობის მეოხებით ქართული ეროვნული კულტურა წარმოადგენს მოწინავე სოციალისტურ კულტურას და ამავე დროს იგი არის ნამდვილად თვითმყოფადი კულტურა.

საბჭოთა საქართველოს მჭიდრო თანამშრომლობა მოძმე რესპუბლიკებთან ხელოვნების ყველა დარგში სოციალისტური ერების ურდველი მეგობრობის მკაფიო მაჩვენებელია.

გივი ფურცელაძე

გურია



ლობრივ პრესაში, გამოფენის მხახველთა უამრავი ჩანაწერი მოწმობს გალერეის დიდ პოპულარობას. ეს არის ფუნჯისა და და საჭრეთლის ოსტატთა ნაწარმოების სტაციონარული გამოფენა. აფხაზეთის სახვითი ხელოვნების ძალა მის განსაკუთრებულ თვითმყოფადობაში, ეროვნულ თავისებურებაშია.

გალერეის დარბაზების დათვალიერება იწყება პირველი პროფესიონალი აფხაზი მხატვრის ა. კ. შერვაშიძის ნამუშევრებით. ფართო დიპაზონის შემოქმედი, იგი სხვადასხვა დარგსა და ჟანრში მუშაობს: თეატრალურ-დეკორატიულ ფერწერაში, პეიზაჟის, პორტრეტის, ნატურმორტის ეანრებში. მაგრამ მის შემოქმედებაში წამყვანია თეატრალურ დეკორატიული ხელოვნება. ყველა ამ სფეროში მხატვარი აკლენს ფაქიზ გემოვნებას, კოლორიტის გრძობას, ტემპერამენტს. სიცოცხლის, ადამიანის სიყვარულითაა გამსჭვალული ა. შერვაშიძის მთელი შემოქმედება, თუმცა მარტოოდენ სისხარულსა და აღტაცებას როდი გამოხატავს; ზოგჯერ აქვე ვხვდებით სევდიან დაფიქრებას და ნამდვილ ტრაგიზმსაც კი. ამის მაგალითად გამოვადგებოდა მხატვრის „ავტოპორტრეტი“. ფერწერული ცხიველმყოფელობა აქ შერწყმულია დაკვირვებულ და ღრმა ფსიქოლოგიურ ანალიზთან.

ჩვენს წინაშე ახალგაზრდა კაცია. შინაგანი დაღლილობის კვალი ატყვია მის სახეს, სევდიან მზერას, შესაძლოა მხატვარმა მისდაუნებურადაც, დრამატული დახასიათება მისცა საკუთარ თავს, კარგად გადმოსცა ღრმად ჩაფიქრებული განწყობილება. სურათის ფერადოვანი წყობა ეხმანება ჩანაფიქრს — პალიტრა თავშეკავებული და ლაკონურია. „ავტოპორტრეტი“ მკაცრ, ჩალისფერ-ყავისფერ ტონებშია შესრულებული.

„ქალბატონ ბისონის“ პორტრეტი თავისი პლასტიკური სილამაზითა და ფერადოვანი წყობით გვიხიდავს. ნათელი ფონი, რომელზეც რბილად გამოიყოფა ქალიშვილის თავი და მხრები, იმ სინათლის გარემოს განუყოფელი ნაწილია, რომლიდანაც თითქოს მიწაქსოვია ეს პაეროვანი და ნაზი ხატება ქალისა.

სურათში „ბაღში“ მხატვარმა აღბეჭდა ადრეული რუსული შემოდგომის განწყობილება. ხეების სიმწვანე ჩამქარალა, მომწვანო-ლურჯია ცივი ცა. სახლის მახლობლად ფანჩატურში მჯდომი ადამიანები თითქოს ყურს უდებენო ზაფხულის უკანასკნელ ჩურჩულს, ჩამოცვენილი ფოთლების შრიალს. ვერცხლისფერი გამა განსაკუთრებულ მყუდროებას და ლირიკულობას ანიჭებს სურათს.

ა. შერვაშიძე თეატრალური დეკორაციის შესანიშნავი ოსტატია. მას ბრწყინვალედ აქვს შეგრძნობილი თეატრალური ფერწერის შემოქმედებითი და ტექნიკური თავისებურებანი. ტუნწი ხერხებით დიდი მხატვრული ეფექტის მისაღწევად იგი მრავალი წლის მანძილზე ისწავფოდა და მიადწია კიდევ მიზანს.

1900-ანი წლისათვის ა. შერვაშიძე უკვე ცნობილია როგორც მომწიფებული მხატვარი-დეკორატორი პეტერბურგის თეატრებისა, რაც ინტენსიური და ნაყოფიერი შრომის ლოგიკური შედეგია. მას ავალებენ ლონდონის თეატრების ორგანიზატორების მხატვრულ გაფორმებას. შენდომში სწორედ აქ აღმოჩნდა იგი სამშობლოსაგან მოწყვეტილი...

აფხაზეთის  
მხატვართა  
შემოქმედება

ანა სადიკოვა

(მოზოხ ლ. ბაღვას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის  
სურათების ბალეტის გაზმა)



აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმის სურათების გალერეა 1964 წლის 17 მარტს გაიხსნა. ცნობილია სოხუნელმა ექიმმა იზაიილ ლაზარეს ძე ფიშკოვმა ჩუქურს გადასცა თავისი სახლის ნაწილი; მისივე პირადი კოლექციის 50 სურათი კი, რომელიც მან მუზეუმს აჩუქა, საფუძვლად დაედო სურათების გალერეის შექმნას. და თუმცა გალერეა აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმის ფილიალად ითვლება და არსებობის მხოლოდ სამ წელს ითვლის, მისი დარბაზები უკვე რამდენიმე ათეულმა აასნა დაშთვლიერებულმა მოინახულა. გამოძახლები ცენტრალურ და ადგი-

ა. შერვაშიძე საკუთარი მანერის, თვითმყოფად შემოქმედია. როგორც თეატრალურ მხატვარს, მას ახასიათებს სახვითი ხერხების ლაკონიზმი, ფორმის მკაფიობა და ჭკამპარიტად თეატრალური პირობითობა.

გამოფენის მრავალი ექსპონატი სიმართლით და მკაფიოდ ასახავს აფხაზეთის დღევანდელ ცხოვრებას, აღადგენს მისი რევოლუციური წარსულის ფურცლებს. სიღრმითა და დრამატული დაძაბულობით გამოირჩევა საქ. სსრ დამსახურებული მხატვრის ვ. შვეგლოვის ორი სურათი „ლინის აჯანყება 1866 წელს“ და „1921 წლის 4 მარტის განთიადისას“. პირველი ეძღვნება აფხაზი ხალხის ისტორიის ერთ-ერთ ნათელ ფურცელს — მემამულეებისა და თავადების წინააღმდეგ გლეხთა აჯანყებას. სურათი მრავალპლანაიანი და მრავალფერეულია. თვითველი დეტალი დაბეჭდილია როგორც აზრობრივად, ისე ემოციურად. ნაწარმოებში დიდი ადგილი აქვს დათმობილი გარემო-პეიზაჟს, რომელიც ხელს უწყობს მთავარი იდეის გახსნას.

მეორე სურათი — „1921 წლის 4 მარტის განთიადისას“ — მხახველს აცნობს აფხაზეთის იმ რევოლუციური დღეების სულისკვეთებას, როცა მზადდებოდა უკანასკნელი დარტყმა მენშევიკური ხელისუფლებისადმი.

რევოლუციური რაზმების სარდლები დამით, მთებში, ბრძოლების წინ თათბირებენ, აზუსტებენ მომავალ ტაქტიკურ გამოსვლებს. კოცინის ალი წაილაღდ თამაშობს მათ სახეებზე. მთელი სურათის ტონი დიაბოლი და მღელვარეა.

აფხაზეთის ბევრი მხატვარი აღბეჭდავს ლენინის სახეს რევოლუციური დღეების ამსახველ ტილოებში. საქ. სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ი. ცომბაის სურათში „ლენინი სანადიროდ“ უბრალო და მღელვარე ეპიზოდია გადმოცემული. მხატვარმა შესწილი მკაფიოდ გადმოგვა ბუღაღის ისეთი ადამიანური თვისებები, როგორცაა უბრალოება და გულთბილობა. ერთად ნადირობენ პროლეტარული რევოლუციის გეგმის და მიწის უბრალო მშრომელი... ტყეებში და გზებზე სიარულით მოქანცულნი დასასვენებლად შეჩერებულან. მოხუცი გლეხი თბილად შესცქერის ილიჩს, რომელიც ჯირკჭე ჩამომჯდარა და თავის ბლოკნოტში რაღაცას ინიშნავს, როგორც ჩანს — ამ სიარულის დროს ნაფიჭვსა და ნააზრებს. მხატვარმა შეძლო მოემუდინა ისეთი შტრახები, რომლებიც სურათის თემას გახსნიდა. ლენინის დონე მობილ ფიგურაში ღრმა დაფიქრების მომენტი გამოსახულია უბრალოდ და ბუნებრივად. სახასიათო ფესტი ამ სახეს ლირიკულ სიბოძასა და ინტიმურობას ანიჭებს, განსაკუთრებით მასობელს ხდის მას.

ი. ცომბაის მეორე სურათი „ს. ორჯონიძე და ნ. ლაკობა ნადირობაზე“ კარგველი და აფხაზი ხალხის მეგობრობის სიმბოლოდ იკითხება. მასში მოცემულია ორი გამოჩენილი რევოლუციური მოღვაწის სახე.

გამოფენაზე დიდი ადგილი უკავია ნაწარმოებებს, რომლებიც მიძღვნილია ხალხის შრომითი ნაჭირობისადმი. მეფოლადეები და მწველავები, ინჟინრები და მასწავლებლები, ექიმები და მხანიბები — ყველა, ვინც თავის უნაზზე იღებს, აფხაზეთის მხატვრების სურათებში ასახული არიან შრომითი შემართებით, მათი ლამაზი სულიერი სამყაროთი.

აფხაზეთის სამხრეთული მიწის მშენიერებას მსუყედ, ხალხსად გადმოსცემს ო. ბრინდლი. მის პეიზაჟებში „ბიჭვინთა“, „სოხუმი“ ყველაფერი მცხუნვარებით სურნათს. ჩვენს წინაშე ბრინდლის ტრიპტიქი „დილა“, „შუადღე“ და „საღამო“. ვხედავთ, თუ როგორ ზუსტად გრძობს და ოსტატურად წარმოსახავს მხატვარი დროის სხვადასხვაობას, მის თვისებურ ელემენტს. ნასვადურის სამუშაო დილის რიტმი, ალადადჭკრილი თევზის ვერცხლისფერი ბზინვა, საღამოს გრძელ სით, გაჩერებული წყალი ყურეში, ქალაქის ლამპიონებს რომ აირეკლავს — ყველაფერი ეს დაწერილია მაკორულად ცხოვლად, აღტაცების გრძობით.

კოლმურენთა ცხოვრების ამსახველი სურათებიდან აღსანიშნავია ა. კრანიუკოვის „საკოლმურენო გაზაფხული“, რომელიც საესეა შიის სინათლით. სახეობრივი დახასიათებით გამოირჩევიან კოლმურენთა ტიპები.

„მიოლის პორტრეტში“ ახალაზრდა მხატვარმა ო. მესხმა ადამიანის დახასიათების ოსტატობა გამოაწვინა. ამ ნამუშევრის გარდა გაფოფუნაზე მიეღი როგი ნაწარმოებებია, რომლებიც ცოცხლად აღბეჭდავენ ადამიანურ ხასიათებს და მათ დამოკიდებულებას სინამდვილისადმი.

თავის გვირთა რთული და მდიდარი სამყარო გამოსახს მხატვარმა ვ. ბუნეოვამ „ახალაზრდა ვაჟისა“ და „ქიმიკოსის“ პორტრეტებში. ცოცხალი და მკაფიო დახასიათება მოცემული ვ. ერშოვას პორტრეტებში: „იუ კოლონია“, „ს. ჩაბაი“.

აფხაზი პოეტის დიმიტრი გულიას შთაგონებული სახე შექმნა აფხაზეთის ასსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ჭ. კუკულაძემ. ეს არის სიციყვის ოსტატის ღრმად ინცივიდალური, ტიპური გამოსახულება. პორტრეტში მხატვარმა შესწილი გამოგებატა ის მაღალი მიზნები, რომელსაც ემსახურებოდა აფხაზი პოეტი. სიმართლითა და რომანტიკით აღსავსე და ნაწარმოებში ჭ. კუკულაძემ გახსნა ინტელიგენტის სახე, რომელშიც შერწყმულია აქტიური მიზანწარაგვა ღრმა ფილოსოფიურ აზროვნებასა და პოეტურ აღმფრენასთან.

ადამიანის სულიერ ცხოვრებაში წვდომის სულ უფრო ნათლად ჩანს აფხაზეთის მხატვართა სურათებში და ეს ინტერესადამიანისადმი დღითიდღე იზრდება. დამთავალიერებში განსაკუთრებით ამ ნაწარმოებებთან ჩერდებიან, რომლებიც მათ გრძობებს ეხმარება. აქ გვიხდა შეჩერდით ხ. ავაბას სურათზე „ადრეული გაზაფხული“ და ი. შენგელაის მცირე ზომის, მაგრამ ძალზე თბილ, მიმხიდელო ეტუღობაზე „მობილური მიდამოები“, „დღაჩაქვის სახლი“, „დაისი“ და სხვ. განწყობილებით სავსე ეს ნამუშევრები მაყურებლებს სიბოლავე უმუღაობითა და სიმართლით.

ბავშვებისადმი მიძღვნილი საინტერესო ტილია პ. ცხვიტარის „გოგონები“. ძალზე ფაქიზად უნდა გრძობდეს ბავშვის სამყაროს, ბუნებას, რომ ასე მართლად და მღელვარედ გადმოსცე მათი ფუნქსუსი, თამაშით მივლი არსებით გატაცება.

აფხაზეთის მხატვრები ხშირად მიმართავენ დიდი სამამულო ომის თემას, გვიჩვენებენ საბჭოთა ადამიანების გმირულ შემართებას, ვაგეკავებენ და გმირობას, გამარჯვებისაკენ შერეყვეულ სწრაფვას, მათი ოპტიმიზმა და ჭკამპარიტობას.



მატრებმა შესძლეს მკაფიოდ აესახათ თავიანთ თანამემამულეთა ხასიათის სხვადასხვა მხარე, ის თვისებები, რომლებზეც განაპირობა მათი სასწაულებრივი გვირობანი, მტრებსეკ რომ აოცებდა. საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის ვ. გულიას ნამუშევარი „არც ერთი ნაბიჯი უკან!“ სწორედ გმირული სულისკვეთებითაა ძლიერი. ახვანი მუხლაგერი ხელშემაბით მტრის ტრანზე მიიწევს, სიკვდილთან შესახვედრად... ამ სახეში მხატვარმა სიმბოლურად გამოხატა აფხაზი ხალხი, რომელიც უმირიად და ვაკაცურად აღსდგა თავისი სამშობლოს დასაცავად.

მხატვარ ო. სევალის პორტრეტულ ნაწარმოებზე გამოსატული პირველი აფხაზი პილტი ქალი მერი ავიძბა, რომლის სახეში განთავსებულია დიდი სამამულო ომის ბრწყინვალე გამარჯვებით დამტკიცებული გმირი ადამიანი. ომის თემაზე შესრულებული მხატვარ ვ. ბუნოვას დრამატული ფურცლები, რომლებსაც დიდი გამომასხველობითი ძალა აქვთ. „დამომების შემდეგ“, „გადამწვარი მიწა“, „ქარხნის ნანგრევები“ — ეს ნამუშევრები მხანველებს მოუწოდებენ მტყიცედ იბრძოლონ მშვიდობისათვის, ომის წინააღმდეგ.

სამშობლოს პეიზაჟების სილამაზე შთაგონებითაა ასახული აფხაზეთის მხატვართა სურათები. თ. ბუნდელის ნამუშევრები აღსაცხვა ნათელი, მძღერი ფერებით, იგრძობა შვის სხივთა მცხუნვარება, დამკურებლადა გადმოცემული სამხრეთის ბუნების ხასიათი, მცენარეული სიმდიდრე, ლურჯი ცის, თოვლიანი მთების და აყვავებული ველების კონტრასტები.

მომხიბვლობით და სიცოცხლის დამამკვიდრებელი ობიექტებითაა გამსჭვალული მხატვარ ვ. ტრიციკაია-შენგლოვას უკანასკნელი ნამუშევრები. გარეშე პეიზაჟის სივსლამა სილამაზე, მკაფიო ფერები, გამჭვირვალე მიწის მხანველში სიცოცხლის ხალისის შვერძებნას იწვევს.

აფხაზეთის ერთ-ერთი უხუცესი მხატვარია ვ. კონტარევი. მისი ფერტლოების შთავარი თემაა მისი პეიზაჟი. წლების მანძილზე შემოქმედი დაუღალავად მოგვახსობდა მისი გზებსა და ძნელად სავალ ბილიკებზე, ურცხვ გეითდზე აღებდვდა სამყაროს სილამაზის დაფარულ საიდუმლოებებს. კონტარევის ნამუშევრებში იგრძობა აფხაზეთის მიყრუებული აფილებების სიყვარული, მხანველს ხბლავს პირველქმნილი ბუნების დიდებულება. მხატვარს ეხებოდა საოცრად ცოცხლად გადმოსცის შუქის ლიცილიც, პაქროვნება, სივრცის სიღრმე. იგი ფაქიზად გრძობს და აღებდვას ბუნების სხვადასხვა მდგომარეობას („გაყვება“), თვალურს აღებენს თუ როგორ უბრუნებს სიცოცხლეს პატარა ნაკადული გამმზარ ხეობის („ნაკადული“), როგორ მიიწუნებს მდინარის ანაკარ წყალი („მდინარე კელასურა“), ტებება შორეული მთების პაწარაბით („სანარისი უღელტეხილი“). კონტარევი თავიყვებდა აღებვას სამყაროს, მის სურათებში გვიხბლავს კონაზიციური გადაწყვეტის სიხდავე, კოლორიტის სიხდავეს და ახალგაზრდული პოეტური სული უკვე რვა ათეულ წელს მიღწეული მხატვრისა.

სინათლი და პაქრითაა სავსე საქ. სსრ დამსახურებული მოღვაწის ნ. თაბუკაშვილის პეიზაჟები. მხატვარი ისწრაფვის აღებვლს მშობლიური მხარის კოლორიტი და თავისებურება.

ჩამქრალი საშემოდგომო ფერები და სვედანი ელვარობა განაპირობებს სურათის „რემოდელობა“ ემოციურობას. მსუბუქი მონასმებით გადმოსცის მხატვარი ხეობა ტროტებს და ფოთლებს, ფართოდ წერს ტყის მიოისფერო შორეთს. გასაოცარია მწვანის სხვადასხვა ელფერი — შურმუხტი ცივი ტონებიდან ოქროსფერ-ნარინჯისფერზე გადასულით. სიმართლითა და ლირიზმით, ბუნების მშვენიერების ღრმა გრძობით გაგვაცდებს მისი სურათები: „ტყე“, „გაზაფხული“, „ტიშკარი“, „ქობი“ და სხვ.

ვ. ბუნოვა მკაფიო შემოქმედებითი ხელწერის მხატვარია. მისი ნამუშევრების ერთი თვალის გადავლებაც ვი წარმოვიდგენს მეტად თავისებურ ხელოვანს, რომელიც წარმატებით მუშაობს გრაფიკის სხვადასხვა სფეროში — ლითოგრაფიაში, ოფორტში, კლამში და სხვ.

მხატვარი დიდხანს ცხოვრობდა იაპონიაში. დაკვირვებებმა, ხალხის ცხოვრების შესწავლამ მას საშუალება მისცა სინართლით აესახა ამ ქვეყნის უბრალო მშრომელთა ყოფის სხვადასხვა მხარე. ასეთია ლითოგრაფები: „საუბზე მარტო“, „შუადღე მთებში“, „პარკში“, „სახალხო თეატრი“, „გოგონა“ და სხვ.

ვ. ბუნოვა აფხაზეთში ჩამოვიდა 1958 წელს, მანამდე იგი 36 წელიწადს იაპონიაში ცხოვრობდა. ჩამოსვლის პირველი წლები ინტენსიური შემოქმედებით ძიებებით ხასიათდება. მხატვარი ისწრაფვის მონახოს საკუთარი გზა ხელოვნებაში. ეს გზა თუქვა არ იყო თავისუფალი ცალკეული მარცხისაგან, მაგრამ მასში ჩანდა შთავარი — რეალისტური მეთოდის თანდათანობითი ღრმა დაუფლება, ოსტატობის აღმავლობა.

ამებად მხატვრის შთაგონების დაუმრეტელი წყაროა აფხაზეთის ბუნება, მისი მშრომელი ადამიანები. შესანიშნავია ბუნოვას ნამუშევრები ავერღული: „ბაღში“, „ვარდისფერი მავთლიები“, „ღლა ზღვის სანაპიროზე“, „ეკვლაობები“, „აფხაზური ხეო“, „ზღვა“. ეს ფურცლები გამოირჩევა მკაფიო და ორიგინალური კომპოზიციით, კარგი ნახატით, ხალასი და მძღერი ფერებით.

თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს აფხაზეთის გრაფიკოსებმაც. პროფესიული კულტურითაა აღებვლილი გამოფენა წარმოდგენილი ნამუშევრების დიდი ნაწილი. უფროსი თაობის ოსტატების გვერდით სახეივო ხელოვნებაში და დარგს ამდიდრებენ ახალგაზრდა გრაფიკოსები, თბილისის სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულნი. გამოფენის გრაფიკული ნაწილი სასიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებს შემოქმედებითი ძიებით. აქ არის როგორც მხატვარ-ოუსტატატორთა, ისე დაზგურ ფურცლებზე მომუშავეთა ბევრი მეტყველი ნაწარმები.

კ. უკულოძის ნამუშევრებში ჩანს მხატვრული ფანტაზია, გამოხატონებლობა. ფაქიზად და დინამიკურადაა გადაწყვეტილი მისი ილუსტრაციები ზ. შინკუბას მოთხრობისათვის „კიანხ-ხაჯარაბი“. მხატვარმა შეიგრძნო და გადმოსცა ეროვნული, რომანტიკული კოლორიტით შეფერილი ამ ნაწარმოების სიღრმე და მომხიბლობა.

აფხაზეთის ფოლკლორის გმირები ცოცხლად წარმოსდგ

ნენ ჩვენს წინაშე ნიჭიერი მხატვრების ვ. ორელიანის, ო. მეს-  
ისი, გ. ერშოვის ნამუშევრებში. თვითელმა ავტორმა შექმნა  
ამ თემისადმი მიძღვნილ ნაწარმოებთა საკუთარი, ერთმანეთი-  
საგან სრულიად განსხვავებული ციკლი — მხატვრულ საშუა-  
ლებათა შერჩევის, კომპოზიციის, კოლორიტის თვალსაზრისით.  
თუმცა მათ აქვთ საერთოც: ეს არის მოწონებულთა და ეპი-  
კურთა.

საინტერესოა ამავე სერიის ფურცლები, რომელთა ავტო-  
რია აფხაზეთის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე,  
ხელოვნებისმცოდნე ლ. შერვაშიძე. მხატვრის ოსტატური  
ფუნჯით, ფაქიზი გემოვნებით და განწყობილებითაა შესრუ-  
ლებული ფურცლები, რომლებზეც გამოხატული არიან ეპოსის  
გმირები („ასარკავა“, „მშვენიერი გუნდა“).

ჩვენი თანამედროვე მშრომელი ადამიანის სახეები შექმნა  
ახალგაზრდა მხატვარმა ხ. ჯინჯოლიამ ლინოგრაფიურების  
სერიაში. შემოქმედი დიდხანს მუშაობდა მხატვრულ ხელოვნებაში.  
ინტელ-  
ტრული ტყვარჩელს იგი ხედავს იმ ადამიანის თვალთ, ვინც  
შერეულია მის ყოველდღიურობას. მშობლიური ქალაქისადმი,  
ფაბრიკისადმი, მისი ადამიანებისადმი სიყვარულითაა აღსავ-  
სე ყველა მისი ნამუშევარი, რომლებიც მიძღვნილია საწარ-  
მოო პეიზაჟისადმი, მემკვიდრეობისადმი. მუნქი შტრიხე-  
ბით გადმოსცემს იგი დიდი ინტელექტუალური ქალაქის შრომით  
რიტმს. სერია ესტამპებისა „ინტელექტუალური ტყვარჩელი“ გა-  
მოიხრჩვეს ოსტატობით და კარგი გამოყენებით. კომპოზიციები  
სავსეა შუქითა და ჰაერით, სიყოფილითა და განწყობილებით,  
მათში ერთ მარტოხელს მთლიანობაა ადამიანი, ბუნება,  
ტყევიკა... მხატვარი ისეთ რაკურსს, ისეთ ხედვებს წერტილს  
ამჩნევს, რომ უზარმაზარ მანქანებთან ახლოს როდი იკარგება  
ადამიანის ფიგურა. ამ ლინოგრაფიურებისათვის ნინანდობლი-  
ვია სითბო, ლირიკულობა, რასაც ხელს უწყობს შექმნილი-  
ლის გადაწყვეტა, აფხაზეთის ბუნების სილამაზის შეგრძნება.  
აფხაზეთის ინტელექტუალური პეიზაჟებია ასახული ხ. ხოჩა-

ვას ნახატებში, რომლებშიც ჩაქოსვილია რომანტიკული სუ-  
ლისკვეთება, მღელვარება.

თმატაკის მხრივ ასლი, ფორმის მხრივ მაღალმხატვრუ-  
ლი და ხალხისათვის მისაწვდომი პლასტიკური ნაწარმოებ-  
ების შექმნა — ამ მისწრაფებით ხასიათდება აფხაზეთის რეს-  
პუბლიკის საჭრეთლის ოსტატთა შემოქმედება.

აფხაზეთის გამოჩენილი მოქანდაკე, რესპუბლიკის ხე-  
ლოვნების დამსახურებული მოღვაწე ს. რაზმაძე გამოფანაზ  
ორი ნაწარმოებითაა წარმოდგენილი: „სტუდენტ გიგონას  
თავი“, „მსახიობის პორტრეტი“. მსახიობ ა. აგრბას თამაშო-  
რისაგან ჩამოსხმული პორტრეტი მკაფიო დახასიათებით გა-  
მორჩევა. მოქანდაკემ ხაზი გაუსვა მოდელის ინდივიდუალურ  
ნიშვნებს — ინტელექტს, ხასიათის სიმშვიდეს, შინაგან კეთილ-  
შობილებას და ამასთან ერთად შექმნა დღევანდელი აფხა-  
ზეთის ინტელიგენტის განზოგადებული სახე.

ს. რაზმაძე ავტორია მთელი რიგი შესანიშნავი ქანდაკე-  
ბებისა, ძეგლებისა და პორტრეტებისა, რომლებშიც დიდი ფსი-  
ქოლოგიური სიღრმით და პლასტიკური გამოხატულებითაა  
გახსნილი საბჭოთა ადამიანების სახასიათო ნიშნები. ს. რა-  
ზმაძის შემოქმედება აფხაზეთის სახვით ხელოვნების თვალსა-  
ჩინო მიღწევებია.

აფხაზეთის ასსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ  
ბ. ლოლობერიძემ აფხაზი პოეტის იუ კოლიანის მეტყველი  
პორტრეტი შექმნა. ეს არის მოაზროვნე და ტრინუნის, უპირ-  
ველეს ყოვლისა კი უბრალო, მოკრძალებული ადამიანის სახე.  
დიდებულებითა და უბრალობით, შინაგანი სულიერი სიღრ-  
მით და ფორმათა მკაფიოებით ხასიათდება ეს ქმნილება.


მხსენებთა დიდ ყურადღებას იმსახურებს პირველი აფხა-  
ზი მოქანდაკე ქალის აფხაზეთის ასსრ ხელოვნების დამსახუ-  
რებული მოღვაწის ნ. გუმას ნამუშევრები, რომლებიც მეტყვე-  
ლებენ ავტორის მაღალ პროფესიულ ოსტატობაზე. პორტ-  
რეტში „მოსუცი აფხაზი ქალი“ მხატვარი ისწარაფვის სახის  
ფსიქოლოგიური შინაარსის გამოხატვისაკენ და ფართო გან-  
ზოგადებით აღწევს დიდ დამაჯერებლობას ადამიანის შინა-  
განი სამყაროს ჩვენებისას. ამის თვალსაჩინო ნიმუშია აგრეთ-  
ვე ფ. ისკანდერის პორტრეტი, რომელშიც იგრძნობა მოქან-  
დაკის ღრმა მოწინააღმდეგეობა და თავყანისცემა პოეტისა და ადამი-  
ანისადმი. გარეგნულ სახეში იერს მოკლებული ეს ნამუშევა-  
რი პოეტობრივულია და ემოციური გამოხატულებით გამო-  
ირჩევა.

სიუჟეტური ფიგურებიდან აღსანიშნავია ახალგაზრდა მო-  
ქანდაკის ბ. ივანას ნამუშევრები: „გაწყვეტილი სიმი“ და  
„მეთევზეები“. ამ უკანასკნელში ავტორი უმღერის ყოველ-  
დღიურ შრომას. კომპოზიციის დაძაბული რიტმი ქმნის შრო-  
მითი შემართების ამაღლებულ განწყობილებას.

სიხშირის მხატვრობა გალერეაში ექსპონირებული ნაწარ-  
მოებები მეტყველებენ ფუნჯისა და საჭრეთლის აფხაზეთის  
ოსტატთა მჭიდრო კავშირზე ცხოვრებასთან. შემოქმედნი  
მზურავაიდ ეხმარებიან ყოველივე მნიშვნელოვან თანამედ-  
როვე სინამდვილეში. გალერეის გახსნით მტკიცე საფუძველი  
ჩაყვარა მუზეუმის დიდსა და საინტერესო სამეცნიერო მუშაო-  
ბასაც აფხაზეთის სახვით ხელოვნების დარგში.

ნიკოლოზ თაბუკაშვილი

სოფლის პეიზაჟი





კადრი ფილიმიდან  
„ილინის მეგობარი — მიხა“

## ისტორიულ — ლოკუპენტური ფილმი

ნუნუ ქორაიძე



დამიანის იდეურ-ესთეტიკური აღზრდა, მისი მსოფლმხედველობის ფორმირება მუდამ იყო ჩვენი კინოხელოვნების წმიდათა წმიდა მოვალეობა. უკვდავი ჩაპაევის, ბოლშევიკი მაქსიმის, დიდი მოქალაქის შახოვის, პროფესორ პოლევაევის იერსახეები მილიონობით საბჭოთა ადამიანისათვის ზნეობრივი იდეალების ნიმუშებად იქცნენ, შთააგონებდნენ და აღაგზნებდნენ მათ შრომითი თავდადებისათვის თუ დიდი სამამულო ომის მრისხანე დღეებში არნახული გმირობისათვის. ახლაც, თანამედროვე ადამიანების მთამბეჭდავი იერსახეების გამოკვეთა საბჭოთა კინოსტატების ჭეშმარიტად მაღალი და კეთილშობილური მოვალეობაა. მხატვრულ კინემატოგრაფიასთან ერთად, ჩვენი კინოდოკუმენტალისტებიც მუდამ მისწრაფვნიან გამოხატონ საბ-

ჭოთა ადამიანების მაღალი მიზნები და ზრახვები, ასახონ ხალხის მრავალფეროვანი ყოველდღიურობა, მისი ფიჭი, საზრუნავი, მაღალმოქალაქეობრივი და პუმანისტური მისწრაფებები, რწმენა უკეთესი მომავლისა და მისი განხორციელებისათვის გმირული შემართება.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისა და ვ. ი. ლენინის დაბადებიდან 100 წლისთავისათვის მზადების დღეებში ჩვენი კინოსტატები კიდევ უფრო აფართოებენ მუშაობას კინოდოკუმენტალისტთა და საბჭოთა დიდი წლების კინომატიანის შესაქმნელად. უკანასკნელ ხანს ჩვენმა მაყურებელმა მიიღო შესანიშნავი მხატვრული ფილმები: ს. იუტკევიჩის „მოთხრობები ლენინზე“ და „ლენინი პოლნეთში“, ლ. კულიკოვის „ლურჯი რველი“; დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული

სურათები: „ლენინის ხელნაწერები“, „ლენინი, უკანასკნელი ფურცლები“, „პარტიის დროში“, „ლენინი ელაპარაკება ამერიკას“, „მარად ცოცხალი“, „გამარჯობა, ვიბორჯის მხარე!“

და თუმცა საკარტელოს ქრონიკალური დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების სტუდიას კინოდოკუმენტალისტებისა და მისი ტრადიცია არა აქვს, დღეს აქაც დიდი მუშაობა მიმდინარეობს. ამას წინათ სტუდიამ გამოუშვა დოკუმენტური ფილმი „ილინის მეგობარი — მიხა“.

ფილმი მოგვითხრობს ერთგული ლენინელის, დიდი საზოგადო მოღვაწის მიხა ცხაკაიას ცხოვრებასა და მოღვაწეობას. ეს არის მართალი, ამადღევებული სურათი (რეჟისორია შალვა ჩაგუნვა, სცენარის ავტორი — ი. დებლინსკი, ოპერატორი თ. დეკანოსიძე).



ფილმი სულ ოც წუთს მიღის ეგრანზე, მაგრამ კინო და ფოტოდოკუმენტების შესანიშნავი შერჩევით, დეტქტორის კარგი ტექსტით იგი საბჭოთა კინოდოკუმენტაციისთვის საინტერესო ნაწარმოებია რაცეს მიყვებუნება.

არც თუ ისე ბევრი მასალა შემონახული ღონისძიების გვარდის ძველ ბოლშევიკზე, მაგრამ რაც არსებობს, ფილმში ისე საინტერესოა ჩართული, რომ მკაცრად გვიხატავს სახელმწიფო მოღვაწის იერსახეს. ფილმში გამოყენებულია მასალები სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის არქივიდან, აგრეთვე, ცენტრალური სახელმწიფო კინო-ფოტო მასალების არქივის დოკუმენტები.

მრავალი კადრი, რომელიც ახალ ფილმში გვხვდება, შესაძლოა თავის დროზე კიდევაც გვიჩვენებს სხვა კინოქრონიკებში, მაგრამ ამჯერად რეჟისორმა ისინი ბოლომდე გააწვრთვინა და ბუნებრივად ჩართო სურათში და მის ორგანულ ნაწილად აქცია.

ცნობილი ამერიკელი კინოსტორიოსი ჯეი ლეიდა თავის წიგნში „ფილმიდან-ფილმში“ აღნიშნავს, რომ „ყოველგვარი საშუალებით აიძულე მაყურებელი მათთვის უკვე ნაცნობი კინოკადრები აღიქვან ისე, თითქმის პირველად ხედავენ, შესლო ძველ კადრებს მიხედვით ფართო-გამომსახველობა, ეს არის სწორედ ისტორიულ-დოკუმენტური ფილმების ნამდვილი დანიშნულება და ხარისხის კრიტერიუმი“.

ფილმი თანმიმდევრულად გვიხატავს კომუნისტური პარტიისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის მიხა ცხაკაიას ცხოვრების ეტაპებს.

პირველი კადრები გვაცნობენ თუ როგორ აფხებდა ვ. ი. ლენინი მიხა ცხაკაიას. გიორგიოში დაუახლოვდნენ ისინი ერთმანეთს, აქ განმტკიცდა მათი მეგობრობა. ლონდონში, ტემზის ნაპირებზე, პარიზისა თუ სანაქტ-ბეტერბურის ქუჩებში ისინი მუდამ ერთად იყვნენ.

შემდეგ კადრები გადავყავართ საქართველოს ერთ-ერთ უღამავეს მხარეში — სენაკის მხარეში, სადაც დაიბადა მიხა ცხაკაია. იგი ჯერ კიდევ თექვსმეტი წლის

ჭაბუკი ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში. არალეგალური წიგნების კითხვის, მისწავლეთა შორის ანტირელიგიური და სოციალისტური იდეების პროპაგანდისთვის 1886 წელს იგი გარიცხეს სასულიერო სემინარიიდან. ამ დროიდან მიხა მთლიანად ემებება რევოლუციურ მოძრაობაში.

1893 წელს მიხა ცხაკაია ე. ნინო-სულითან ერთად ქმნის პირველ ქართულ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას — „მესამე დასს“, რომლითაც საფუძველი ყვრება სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობას ამიერკავკასიაში. ფილმში საინტერესოა ჩართული ფოტოდოკუმენტი — მიხა ცხაკაია და ე. ნინოშვილი ფიცს დებენ: „მუდამ და ყველგან იყვნენ სოციალისტები და აბსოლუტური მოწინააღმდეგეები ყოველგვარი ნაციონალიზმისა“.

1897 წლის ნოემბერში მეფის მთავრობამ მიხა ცხაკაია გადაასხლა კავკასიიდან. იგი არ სწყვეტს ენერგიულ რევოლუციურ მოღვაწეობას, რაზედაც მეტყველებენ ვადაგრძობის დოკუმენტები; მინაწილობის რსდმპ ეკატერინოპოლის კომიტეტის შექმნაში. ამ ორგანიზაციის ჩაფარდისას 1900 წელს მიხა ცხაკაიას აპატიებენ. მეფის თვითმკურთხელობის მიერ მრავალჯის დაპატიმრებამ და განუწყვეტელმა დევნამ ვერ გასტყვა მ. ცხაკაიას რევოლუციური სიმტკიცე და სულისკვეთება.

კადრი კადრს სცვლის და მაყურებლის თვალწინ იშლება ლონდონის პანორამა. მიხა ცხაკაია როგორც დღეუბატი მონაწილეობის რსდმპ მესამე ბოლშევიკურ ყრილობაში კავკასიის ორგანიზაციიდან. ვ. ი. ლენინის დაჯავიებით მ. ცხაკაიამ გახსნა მესამე ყრილობა და წარმოთქვა მზუნებარე სიტყვა, რითაც მტკიცე რწმენა გამოთქვა რუსეთში რევოლუციისა და სოციალიზმის გამარჯვების შესახებ. ყრილობამ მიიღო სპეციალური რეზოლუცია „კავკასიის ამგების გამო“ და რუსეთის პროლეტარიატის სახელით მსურველ სასამთო უძღვან კავკასიის გმირ პროლეტარიატსა და გლეხობას. ყრილობამ დაშთავრების შემდეგ ვ. ი. ლენინი და მ. ცხაკაია გვიანობამდე დადიოდნენ ლონდონის ქუჩებში და გულითადად საუბრობდნენ. ლენინთან ერთად მიონახუ-

ლა მიხამ კარლ მარქსის საფლავი, მრავალჯერ ერთად აუგლიათ მათ ლონდონის ერთად მიბითითუკის საფებრებში, ერთად სწყვიან მუშათა კავბრლები და... აი უკვე პარიზი, შემდეგ ჟენევა, სადაც ვ. ი. ლენინმა ქათველი მეგობარი მიიწვია.

განსაკუთრებით ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს დებუმა, რომელსაც ვ. ი. ლენინი 1917 წლის თებერვლის რევოლუციით აღფრთოვანებულ მიხა ცხაკაიას უგზავნის — „ძვირფასო მიხა! აღბრულდა! გაიარდა... გილოცავთ რუსეთის რევოლუციას. მამ მივდივართ? თქვენს ლენინს“.


აღსანიშნავია ფილმში ჩართული ენციკლოპედიური ფოტოსურათი... 1917 წლის გიანგანტების ჯგუფთან ერთად სტოპოლიმიდან რუსეთში მომგზავნება: იმის შორის, ვინც მასთან ერთად სამშობლოში ბრუნდება, არის მიხა ცხაკაიაც.

შემდეგ კადრებს გადავყავართ ამიერკავკასიაში, სადაც მიხა ცხაკაია აქტიურად მონაწილეობს ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნაში, იბრძვის მარქსისტულ-ლენინური ერთეული პოლიტიკის განხორციელებისა და ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობის დამტკიცებისათვის, არის საქართველოს და ამიერკავკასიის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე, სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდენტის წევრი, სსრ კავშირის მესამე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დებუბატი.

ამობრუნება კინოკადრები, რომლებიც ასახვენ მიხა ცხაკაიას ლენინის ორდენით დაჯავილებების მომენტსა და მის შეხვედრას თანამემამულეებთან, რომლებმაც თავიანთ ქალაქს მისი სახელი უწოდეს.

მიხა ცხაკაია გუთვნოდა ამიერკავკასიის ბოლშევიკების სახელოვან პლეადს, რომლებმაც მიიღო თავიანთი ნათელი სიცოცხლე ხალხის ბედნიერებისათვის, კომუნისტის გამარჯვებისათვის ბრძოლას მოამარეს.

ფილმის შემოქმედებითმა კოლექტივმა შესწლილ ეგრანზე შექმნა მიხა ცხაკაიას ერთგული ლენინიანთა კინო ცხაკაიას შთამაგონებელი იერსახე.



## სანდრო ახმეტელის საიუბილეო სელაჟო

ს

ხლახანს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატულ აკადემიურ თეატრში გასაქართველოს სსრ სახალხო არტისტის რეჟისორ სანდრო ახმეტელის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო.

იმ დღეს რუსთაველის თეატრის დარბაზში გამოჩენილი ნოვატორის ხსოვნის პატივსაცემად თავი მოიყარა დიდალმა ხალხმა, ქართველი მხატვრული ინტელიგენციის წარმომადგენლებმა: მწერლებმა, მხატვრებმა, მუსიკოსებმა, თეატრისა და კინოს მუშაკებმა...

საიუბილეო საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრმა, კომპოზიტორმა ოთარ თაქთაქიშვილმა. მან ილაპარაკა ს. ახმეტელის შემოქმედების ძირითად პრინციპებზე.

დამსწრე საზოგადოების წინაშე მოგონებით გამოვიდა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი აკადემიკოსი შალვა ნუცუბიძე. მან დამახასიათებელი შტრიხებით დახატა და თითქოს გააცოცხლა დიდი ტალანტის მგზნებარე პატრიოტის, შეუპოვარი და კეთილშობილი პიროვნების, მუდამ სიახლის მაძიებელი ხელოვანის, ერთგული მეგობრისა და პრინციპული შემოქმედის — სანდრო ახმეტელის პორტრეტი.

იუბილარის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე ილაპარაკა თეატრმცოდნე ნათელა ურუშაძემ.

გულთბილი მოგონებებით გამოვიდნენ საქართველოს სსრ თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე, რესპუბლიკის სახალხო არტისტი დ. ანთაძე, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი

სერგო ზაქარიაძე, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ვასო გოძიაშვილი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი რეჟისორი არჩილ ჩხარტიშვილი, მოსკოვის თეატრალური საზოგადოების წარმომადგენელი კ. აზიზბეკოვი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი მ. ხინიაძე, რეჟისორის მშობლიური კუთხიდან იუბილეზე გამოვიდნენ სიღნაღის წარმომადგენლები.

სანდრო ახმეტელის მოწაფეების სახელით ილაპარაკა ჟურნალისტიკა და თეატრალმა ირაკლი უგულავამ.

დასასრულს სანდრო ახმეტელის მალაღობი შემოქმედებითი პრინციპების ერთგულუბა აღიარა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის ახალმა თათბარმა.

საიუბილეო საღამოს ესრფობდნენ ამ. ხანაგებთ, დ. ტურუა, ვ. სირაძე, ე. სალუქვაძე, შ. ქიზეჯვაძე და სხვ.



გიორგი ბუზნიგაშვილი

# პეპელარი ალექიანი

მაყვალა შამათავა



ატარა ოთახი. თმადათოვლილი, წელთა სიმრავლით დატვირთული სანდომიანი სახის მამაკაცი. და ირგვლივ უამრავი წიგნი. ამ წიგნებშია მთელი მისი გატაცება, მათშია თეატრი, კრიტიკა, რეცენზიები, ნარკვევები, წერილები, მადლობები. აქ არის მისი განვლილი ცხოვრება.

70 წელი შეუსრულდა. როგორ სწრაფად გაიარინებს წლებმა. რამდენია გასაკეთებელი, დასაწერი. და იგი ისევ ჭაბუკური ენერჯით განაგრძობს საყვარელ საქმეს.

საწერი მაგიდა არ ჩანს. დაფარულია ნაწერი ფურცლები.

ბით. „ქართული თეატრის ისტორია“ დასაბამედან იღვრებოდა გვერდით — „მიხეილ ჭიკაურელი“. ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი წიგნი ძველ მეგობარზე, რომლისგანაც ადრე საყვედური მსენია — მართალია, კინოში ბევრი ვიწმუშავე, მაგრამ თეატრშიც რაღაც გამოიკეთებია.

გრიგოლ ბუზნიგაშვილი სამწევრო ასპარეზზე სრულიად ახალგაზრდა გამოვიდა. 1913 წელს რუსულ გაზეთებში დაიბეჭდა მისი პირველი ფელეტონები. 1914 წლიდან კი ჟურნალები „თეატრი და ცხოვრება“ და „ეშმაკის მაიარახი“ ბეჭდავენ მის მოთხრობებს და პატარა სცენებს იმერეთის ცხოვრებიდან, რომლებიც შესანიშნავად გამოხატავენ იმდროინდელ ადამიანთა ფსიქიკასა და დროის ვითარებას. მახვილი ენით და იუმორით დაწერილი ეს ნაწარმოებები ახლაც იყვრობენ მკითხველთა ყურადღებას.

სამწევრო ასპარეზზე გამოსვლის პერიოდშიდანვე იწყება თეატრისადმი მისი სწრაფვა. თეატრით გატაცებას გ. სულიაშვილსა და ა. ხორავას უმაღლის. პირველი სცენური ნათლობა მათთან ერთად მიიღო სურამში (სულიაშვილის მიერ დადგმულ წარმოდგენაში) და აქედან მოყოლებული სისტემატურად მონაწილეობს სურამისა და ხაშურის სცენისმოყვარეთა წარმოდგენებში. უფრო გვიან კი ნაძალადევის სცენისმოყვარეთა წრეში.

გ. ბუზნიგაშვილის შემოქმედების ფორმირება ემთხვევა იმ პერიოდს, როცა მჭივარებად ომი კონტრრევოლუციის წინააღმდეგ, ახალი ხელისუფლებამ იბრძოდა უფლებების განმტკიცებისათვის. აი, ამ პერიოდში გაიშალა გ. ბუზნიგაშვილის შემოქმედება. იგი მთელ თავის ცოდნას და ძალას ახმარს ქართული ეროვნული კულტურის — თეატრისა და ლიტერატურის აღორძინებას.

„გიორგი ბუზნიგაშვილი გუთუნის ქართველ კომუნისტ — მწერალთა იმ პირველ თაობას, — წერს კრიტიკოსი ბესარიოს ელენტი, — რომელმაც საკართველოში საბჭოთა წყობილების გამარჯვების პირველსავე წლებში საფუძველი ჩაუყარა ქართულ პროლეტარულ ლიტერატურას და მრავალმხრივი მოღვაწეობა გააჩაღა ქართული საბჭოთა კულტურის, მწერლობის ფრონტზე“. და ეს მართლაც ასე იყო. გ. ბუზნიგაშვილი მთელი მონდომებით ჩაება ახალი, მუშურ-გლეხური სახელმწიფოს სამსახურში და გააჩაღა ბრძოლა ეროვნული კულტურის მშენებლობისათვის. ჯერ იგი რევკომის მდივანია ხაშურში, შემდეგ გორში სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმის წევრი და პასუხისმგებელი მდივანი, უფრო გვიან — სამაზრო პარტიული კომიტეტის სააგიტაციო — საპროპაგანდო განყოფილების გამგე.

თბილისში ხელმძღვანელობს საინტერესო და საჭირო საქმეს — პოლიტიკური განათლების საქმეს. წერს მეთოდურ სახელმძღვანელოს პოლტასაგანმანათლებლო მუშაობის შესახებ სიფილად.

1926 წლიდან გ. ბუზნიგაშვილი რუსთაველის თეატრის დირექტორია. 1928 წელს სათავეში ჩაუდგა სატიკრის თეატრს, სადაც მისი პიესები იდგმებოდა. სატიკრის თეატრს იმ დროისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქონდა. პიესების მახვილი მხარათული იყო ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს მტრების წინააღმდეგ. თეატრმა 1933 წლამდე იარსება.



1929 წელს გ. ბუხნიკაშვილი მიხეილ ჯავახიშვილითან ერთად აყალიბებს დრამატურთა და კომპოზიტორთა კავშირს („საული“). მისი მონაწილეობით იქმნება ხელოვნების მუშაკთა ხალხი, სადაც თვითონ არის პირველი გამგეობის თავმჯდომარე. 1932—1934 წლებში გ. ბუხნიკაშვილი იღვწის ქართული ცირკის ჩამოყალიბებისათვის, რისთვისაც ჯილდოს და ფულბის საპატიო ნიშანს. 1932—1936 წლებში იგი სამსახურ აკადემიის, შემდეგ კი ხელოვნების მუშეების — „მეტრის“ დირექტორია. 1939 წელს დღემდე საქართველოს საოტატრო მუშეებს უდგას სათავეში. იგი თეატრალური საზოგადოების დაარსების ერთ-ერთი ინიციატორია. 1950 წელს ქართული თეატრის ასი წლისთავთან დაკავშირებით, საბჭოთა ქართული თეატრის განვითარების საქმეში დიდი ღვაწლისათვის საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება მიენიჭა.

გ. ბუხნიკაშვილი, როგორც მწერალი — დრამატურგი, საბჭოთა პერიოდში ჩამოყალიბდა და გარკვეული როლიც შეასრულა ქართული საბჭოთა დრამატურგიის განვითარებაში. მას ეკუთვნის 80-მდე პატარა პიესა, რომლებიც საბჭოთა სინამდვილეს ეხებიან. თავის დროზე ისინი დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ სასოფლო კლუბების, პატარა თეატრებისა და თვითმოქმედი წრეების სცენებზე. ეს პიესები უმთავრესად საავტოციო ხასიათისა იყვნენ.

განსაკუთრებული პოპულარობა ხვდა წილად პიესას — „შემინებული ანთიმოზი“, რომელიც სამართლიანად არის აღიარებული პირველ საბჭოთა ქართულ კომედიადა.

ალსანიშნავია, რომ „შემინებული ანთიმოზი“ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე თვეში დაიწერა და მასწავლებ დაიგა კერ ხაშურში, შემდეგ კი საქართველოს სხვა კუთხეებში.

პიესაში კომედიურ ფორმაში არის წარმოდგენილი დასაღვაძად განწირული მენშევიკური მთავრობა, რომელიც ცვერა ხერხს მიმართავდა, რათა თავი დაეღწია გამოუვლი მღვთნარობისათვის. ცდილობდა ხელი შეეშალა და ახალ-ახალი დაბრკოლებები შეეჭმნა განმტკიცების გზაზე მდგარი საბჭოთა ხელისუფლებისათვის. მოტყუებისა და დამინების გზით მრავალ სისაძაგლეს სჩადიდა, ავრცელებდა ჭორებს „კაცი-კამა“ ბოლშევიკებზე და ცდილობდა მათ საწინააღმდეგოდ გლებთა შენგებში სიძულვილის დაწერვას.

მოქმედება მიმდინარეობს იმერეთის ერთ-ერთ სოფელში, სადაც მენშევიკური სამხედრო ნაწილის ოფიცრობა მოკალაფებულია. ისინი უსიროცხოლო ძარცვებზე და შეურაცხყოფას აყენებენ გლეხობას. თან ბოლშევიკებზე ძირგამომხრულ ჭორებს ავრცელებენ. სოფელში არიან უმეტარი გლეხები, რომლებიც ვერ ხედავენ მათ ვერაგობას და ანესუსე ეგებიან. ერთი ასეთი გლეხი პიესაში ანთიმოზია.

ანთიმოზს სურავ მენშევიკების. დარწმუნებულია, რომ სწორედ მათ შეუძლიათ დაიფარონ იგი მომავალი უბედურებისაგან. ამიტომ ცდილობს მათი კეთილი განწყობა დაიმსახუროს. საბოლოოდ ითხოვს რომანოვს, რომელიც ბოლშევიკად არის ცნობილი სოფელში. ანთიმოზი შიშს შეუყარია. საცაა აჩანებული გლეხობა და წითელი არმიის ნაწილები სოფელში შემოიღვენ, ის კი მენშევიკებს ებღალატება. რომანოვი ცდი-

ლობს მის გამოღვიძებას, უნდა გააგვიძინოს, რომ ბოლშევიკების შემოსვლა ახალი ცხოვრების დასაწყისია, ხვდებ ანაოდ. მენშევიკები გარბიან. ანთიმოზი ნათლად მგადას, რომ სოფელში შემოსული ჯარი მას არ ერის, პირიქით, მეგობრულად არის განწყობილი. არავე არ სჭრის მიხუცების ყვლებს და არც ქალბოლებს აყენებენ შეურაცხყოფას. ანთიმოზი ხვდება, რომ ბოლშევიკები ხალხის მეგობრები არიან და იბრძვიან მათ გასათავისუფლებლად.

პიესა სადა სიუჟეტურ ქარგება აგებული, მასში არ არის რთული დრამატული სიტუაციები. იგი დიდი სიმართლით დაწერილი ნაწარმოებია. შესაძლოა, მას ქონდეს ხარვეზები, აკლდეს ხასიათების სრულყოფა, მაგრამ მან შეასრულა თავისი დანიშნულება. გასაგებად და ნათლად გვიჩვენა იმდროინდელი გლეხების მდგომარეობა და აზროვნება. პიესა ბევრჯერ დაიდგა. უკანასკნელად საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავთან დაკავშირებით გამოიცა ზესარიონ ჟენეტის წინასიტყვაობით. „შემინებული ანთიმოზი“ დღესაც დიდ ინტერესს იწვევს და ახლა მას რადიოთი გადმოსცემენ. ძველი თაობის მრავალი მსახიობი გამოსულა ამ პიესაში.

1922 წელს გ. ბუხნიკაშვილმა დაწერა პიესა „მენშევიკები პარიზში“, რომელიც ქართული ოპერეტის შემქნის ცდას წარმოადგენდა. ავტორი ისყენდა „მენშევიზმის წინააღმდეგ გაცხთველებულ ბრძოლაში, რაც იმ ხნად სწარმოებდა ჩვენი პარტიის მიერ, ჩემი ნაშრომი მეტად სასარგებლოდ იყო მიჩნეული“.

დიდი ქართველი რეჟისორის კოტე მარჯანიშვილის შემოქმედება უღიფეს გაგუნას ახდენს გ. ბუხნიკაშვილზე. იგი მისი თავყანისცმელება და თავის შეხედულებებს თეატრზე მისი უზეადვლიანი აყალიბებს. მასთან მუშაობის პერიოდში წერის სატირულ პიესას „კი, მაგრამ“, რომელშიც დადებითი გიბრი არაა გამოყვანილი. 1929 წელს კოტე მარჯანიშვილმა ქუთაისის სახელწწიფო თეატრში დადგა ეს პიესა.

ამ ხანებში გ. ბუხნიკაშვილის ყურადღებას იქცევს რუსეთში ფართოდ გახსურებული შკაკარიინის კომედია „სხვისი ბავშვი“. სანდრო ამბეტელის თხოვნით იგი ამ პიესას ქართული თეატრალობით აყვებს, და ქმნის თავისებურად ორიგინალურ ნაწარმოებს. ამ პიესას, რომელიც „ნაიბჭავარის“ სახელწოდებით 1934 წელს სანდრო ამბეტელმა რუსთაველის თეატრის სცენაზე დადგა, დიდი წარმატება ხვდა.

ეს იყო სანდრო ამბეტელის უკანასკნელი დადგმა. პიესას დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. უკანასკნელ წლებში იგი დაიდგა ცნინფაში, ფოთსა და სოხუმში. ამგვამდ სანკულტურის თეატრის რეპერტარშიში შეტანილი. ამ პიესის მიხედვით განახორციელა მუსიკალური კომედის თეატრმა თავისი დადგამა. (მუსიკა კახიანის, ლიბრეტო გ. ბუხნიკაშვილის, დადგმა ეკუთვნის თეატრის მთავარ რეჟისორს შ. მესხს).

1941 წლიდან გ. ბუხნიკაშვილი თავს ანებებს დრამატურგიაში მუშაობას. ამ პერიოდთან მას თეატრმცოდნეობა იტაცებს.

უღიფესი ღვაწლი მიუძღვის გ. ბუხნიკაშვილს ქართულ თეატრმცოდნეობაში. მრავალი ნაშრომი, გამოკვლევა და წერილი მიუძღვნა თეატრალურ ხელოვნებას. მის კალამს ეკუთ-

ნის სამეცნიერო შრომები: „ქართული თეატრის მდგომარეობა მენშვევიკების ბატონობის დროს“, „მოსკოვის მცირე თეატრი“, „ქართული თეატრი ასი წლის მანძილზე“ (რომელიც ფაქტიურად ქართული თეატრის შექმნის ისტორიის პირველ ცდას წარმოადგენს), „ქართული თეატრი რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში“, „რუსული თეატრის ასი წელი საქართველოში“, „ალექსანდრე სუმბათაშვილი-იუვენია“, „გ. ერისთავის თეატრი“, „მოსკოვის მცირე თეატრი საქართველოში“, „კოტე მარჯანიშვილი“, „გაბრიელ სუნდუკიანი“, „ნ. გოგოლი ქართულ სცენაზე“ და სხვ. გამოქვეყნებულ აქვს აგრეთვე მონოგრაფიები ცალკეულ მსახიობებზე, გამოკვლევები ქართული და რუსული თეატრალური ხელოვნების საკითხებზე. მათ შორის: „მოსკოვის სამხატვრო თეატრი თბილისში“, „რუსული საბჭოთა დრამატურგია ქართულ სცენაზე“, „კოტე მარჯანიშვილის მოღვაწეობის დაწყებითი პერიოდი“ და სხვ. მისი რევენუიები ხშირად იბეჭდება პრესაში.

გ. ბუხნიკაშვილმა 12 წელი იმუშავა საცავებში, რათა შეესწავლა მასალები და შეექმნა რევოლუციის წინა პერიოდის ქართული თეატრის კალენდარი. იგი „ქართული სარეპერტუარო ცნობარის“ სახელწოდებით ინახება სათეატრო მუზეუმის ფონდში და მოიცავს ქართული თეატრის რეპერტუარს 1850 წლიდან 1917 წლამდე. ამ რეპერტუარში, გარდა საქართველოს ყველა კუთხის თეატრების წარმოდგენებისა, შეტანილია ნუსხა რუსეთის ქალაქებსა და საზღვარგარეთ დადგმული ქართული წარმოდგენებისა, აღნიშნულია: პრემიერის თარიღი, დამდგმელ რეჟისორთა გვარები და მიითითებულია ბიბლიოგრაფია. იგი აბსოლუტურად სანდო და ზუსტი ნაშრომია, რომელსაც გვერდს ვერ აუვლის ქართული თეატრის ვერცერთი მკვლევარი. მასვე ეკუთვნის ისტორიული ნაშრომი „გორი“, რომელიც ქართულ, რუსულ, სომხურ, სოსურ და უკრაინულ ენებზეა გამოცემული.

დიდი ღვაწლი მიუძღვის გ. ბუხნიკაშვილს სხვადასხვა ერის ხალხთა თეატრებს შორის მგობრული დამოკიდებულების განმტკიცების საქმეში.

ამჟამად გ. ბუხნიკაშვილი სათეატრო მუზეუმის დირექტორია. იგი დიდი სიყვარულით ევიდება თავის საქმეს. ფონდების გასამდიდრებლად შეძენილი თვითმული ექსპონატი დიდი ცოდნითა და გამოცდილებით არის შერჩეული. მას თანამშრომლები ცოცხალ ენციკლოპედიას „უწოდებენ. იგი დიდი მგობრია ახალგაზრდების, დაუზარებლად გადასცემს მათ თავის ცოდნას.

დიდი ხანია, რაც კალაში აღარ უცდია დრამატურგიაში. მაგრამ მაინც გადასწყვიტა დაწეროს ახალი პიესა ისევ ანთიმოზის შესახებ. ამჯერად სურვილი აქვს გვიჩვენოს თუ როგორ გამოიყურებიან მისი გმირები საბჭოთა ხელისუფლების 50 წლისთავეზე. „შეიძლება ითქვას, რომ ჩემი დრამატურგიული მოღვაწეობა დაიწყო ანთიმოზით და მთავრდება კიდევ ანთიმოზით“ — ამბობს მტკვანი მოღვაწე, მაგრამ წინ ისევ დაუშვარებელი, დიდი შემოქმედებითი გზა. მაგიაზე გაზლილი ხელნაწირი ფურცლები მალე აიკინძება და ჩვენი ღვაწლმისილი დრამატურგის, თეატრმცოდნის და ლიტერატურული მოღვაწის კიდევ მრავალი შრომა შეემატება წიგნის თაროებს.



რენე შმერლინგი ექსპედიციამ

# სახელმწიფო ბიბლიოთეკა

ნოდარ ჯანბერიძე

რენე შმერლინგი იმთა რიცხს მიეკუთვნება, ვინც პირველთაგანი ამოუღდა გვერდში ქართული ხელოვნებათმცოდნეობის პატრიარქს გიორგი ჩუბინაშვილს და მთელი თავისი ცოდნა და ენერჯია ქართული კულტურის ძეგლების შესწავლისაკენ წარმართა.

საქართველოში თითქმის არ დარჩენილა კუთხე, სადაც არ დაედგას ფეხი ამ თავის საქმეზე ფანატურად შეყვარებულ მეცნიერ ქალს, რომელიც ბუნებამ მამაკაცური ენერჯიითა და ჯანღობით დააჯილდოვა — თითქოს იმისთვის, რომ ფეხით შემოეფლო ყუფილი კუთხე, მისწვდომოდა მაღალ მიმებსა თუ დაბურულ ხეობებში მიმოფანტულ ძველი კულტურის ძეგლებს. უკვე ცნობილი ახლებურად ამეტყველებინა, ხოლო უცნობი გამოემსურებინა, საქვეყნო გახსნა.

რენე შმერლინგი მთელი თავისი აკადემიური იყო დაკავშირებული საქართველოსთან. მამამისი — ოსკარ შმერლინგი ცნობილი მხატვარი და პედაგოგი იყო. იგი ქართულ პრესაში მოგვარებოდა როგორც კარკატიუსისტი. მხატვრის ნახატები გამოირჩეოდა პუბლიცისტური სიმასხვილითა და პროფესიული ისტორიებით. მანვე შესარტა პირველი ილუსტრაციები ხალხური ზღაპრებისათვის და ცნობილი სერია ნახატებისა „წარმავალი თბილისი“.

სკოლის დამთავრების შემდეგ რენე თბილისის ფერწერისა და ქანდაკების სკოლაში შედის, იმავე დროს ქართული დრამის თეატრში მუშაობს სპექტაკლების გაფორმებაზე.

ხატვის ნიჭითა და გემოვნებით დაჯილდოებული ახალგაზრდა ქალი თბილისის სამხატვრო აკადემიის ერთ-ერთი პირველი სტუდენტოვანია. აკადემიაში იგი სწავლობს გრაფიკას, ფერწერას, მეფადინების არქიტექტურის ფაკულტეტზე. აქვე იხმებს აკადემიის მამინდელი რექტორის გიორგი ჩუბინაშვილის ლექციების ქართული ისტორიების ისტორიაში. სწორად აქ ჩაესახა ინტერესი და სიყვარული თავისი მომავალი საქმიანობისადმი. მრავალმხრივ ნიჭიერ შემოქმედელი მეცნიერის პროფესიამ გადასწონა. აქედან მოყოლებული, მან მთელი ნიჭი და ცოდნა ქართული ხელოვნების შესწავლისაკენ წარმართა.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმსა და ხელოვნების მუზეუმში მუშაობის შემდეგ, 1941 წლიდან, როცა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში ჩამოყალიბდა ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი, რენე შმერლინგი მისი ერთ-ერთი ფუნქციონერი და წამყვანი მეცნიერული ძალაა.

რენე შმერლინგი სისტემატურად აწყობს სამეცნიერო ექსპედიციებს ტრასულიკის სხვადასხვა კუთხეში. ძეგლების შესწავლა მკარგ გეგმას ემორჩილება. დახასიათდა მრავალწლიანი სამუშაოს განრიგი. ექსპედიციები მეთოდურად სწავლობენ საქართველოს სხვადასხვა კუთხის ძეგლებს. ქართული ხელოვნების მრავალი საკითხის გარკვევისათვის მეორეხარისხოვანი როლია მუშობედ ხალხთა კულტურის შესწავლაც. ამისათვის რენე შმერლინგის ინიციატივით ეწყობა ექსპედიციები დაღესტანში, ჩეჩენო-ინგუშეთში...

გადაუარებლად შეიძლება ითქვას, რომ რენე შმერლინგის ცხოვრების მთელს მიზანს ქართული კულტურის ძეგლთა შესწავლა შეადგენდა. ძეგლზე მუშაობისას, თითქოს ესაუბრებოდა, მაქსიმალურად ათქმევინებდა ისტორიის ან უტყე მოწმეს თავისი ბედის შესახებ, მაგრამ ისე, რომ ყოველთვის იყო შენარჩუნებული ის წარუშლელი სიფაქივე, რაც ხელოვნების ნამდვილ ნიმუშს ახასიათებს ხოლმე. ბრწყინვალე ლიტერატურული ტრადიტი დაჯილდოებული მეცნიერი პოეტური ძალით გადმოგვცემდა ძეგლების მხატვრულ სახეს, ემოციურობას ან უკარგავდა მას. შესანიშნავ გრაფიკოსს ზუსტად გადმოქონდა ქალაღზე ძეგლის ესა თუ ის მორთულობა, ისე, რომ მას არ დაკარგოდა ის სიყოცხე, რამაც საუკუნიდან საუკუნეში, თაობიდან თაობაში გადაიტანა საქვეყნოდ სახელგანთქმული ქართული სამკაული.

რენე შმერლინგმა უამრავი მასალა დააკრთვა ქართული ხელოვნების სხვადასხვა დარგის შესახებ, რომელიც დრმა ანალიზითაა გაშუქებული მის ანა ერთ ათეულ სამეცნიერო

შრომაში. ფართოდ ერუდირებული მეცნიერის დიაპაზონი ძალზე მრავალმხრივი იყო. მას კუთვნიის გამოკვლევენი ქართული არქიტექტურის, ფერწერის, ოქრომკვლელობის, ხელნაწერთა მორთულობის შესახებ. ყველა ნაშრომში, მცირესა თუ ფუნდამენტურ გამოკვლევაში, ჩანს მეცნიერის დრმა ინტერესები, ისტორიებით გარემოს შესანიშნავი ცოდნა, ხელოვნების ნიმუშთა გაგების მხატვრული აღღო, მიზანდასახულობა.

თავის საკანდაღატო დისერტაციაში, რომელიც ქართული არქიტექტურის ერთ-ერთ საინტერესო ძეგლს — მცხეთის სამთავროს შეეხებოდა, რენე შმერლინგმა ძეგლის ყოველმხრივი შესწავლის საფუძველზე, ისტორიულ-მხატვრული ანალიზის შედეგობით ზუსტად განსაზღვრა უწინ დაუთარიღებელი ძეგლის ადგილი ქართული არქიტექტურის საერთო განვითარებაში. ამ შრომაში დეტალურადაა განხილული ცალკეული არქიტექტურული ფორმები თუ მორთულობის ელემენტები, შერჩეულია დიდი მარალეღური მასალა. გამოკვლევა სცდლობდა ერთი ძეგლის მონოგრაფიულ შესწავლას და ქართული არქიტექტურის ისტორიისათვის საინტერესო დებულებებს შეიცავს.

მეცნიერის გამოკვლევის სფეროშია სხვა მნიშვნელოვანი არქიტექტურული ძეგლებიც. დამის მცირე ეკლესიის დათარიღებით და მისი მხატვრული დახასიათებით აგტორი შუქს პფენს XIII-XIV საუკუნეების ქართული არქიტექტურის მიეღ რიც ჰავთიხებს.

არქიტექტურული ძეგლის შესწავლისას მეცნიერი ყოველთვის უკავშირებს მას იმ ისტორიულ გარემოს, იმ მხატვრულ ამოცანებს, რომლებიც დამახასიათებელი იყო სწორედ აღნიშნული ეპოქისათვის, ამიტომ ცალკეულ ძეგლებზე მისი მცირე გამოკვლევაც მნიშვნელოვანია საერთოდ ქართული არქიტექტურის განვითარების თვალსაზრისით.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს რენე შმერლინგის ვრცელი გამოკვლევა XII-XIII საუკუნეების მნიშვნელოვანი ძეგლების — ბეთანიის, პიტარეთის, ქვათახევისა და სხვათა შესახებ, რომელიც გარდა იმისა, რომ თვით პირველხარისხოვან ძეგლებს შეეხება, ქართული არქიტექტურის ისტორიის მტკად მნიშვნელოვან ეტაპს განიხილავს მისი საერთო ევოლუციის გათვალისწინებით.



რენე შმერლინგი  
ექსპედიციოში





სენათი

ფოტო რ. შმერლინგისა

რენე შმერლინგის ნაშრომი — „ხუროთმოძღვრების მცირე ფორმები შუასაუკუნეების საქართველოში“ შეისწავლის ქართული ტაძრის ინტერიერის ერთ-ერთ ძირითად ელემენტს — კანკელის ქვევს. ამ განოკვლევამ ავტორმა პირველად გადაგვიშალა საქართველოში ამ არქიტექტურული თემის განვითარება.

რ. შმერლინგი დალესტანში



რების ისტორია (კონსტრუქციები, ფორმები, დეკორი) IV საუკუნიდან მოყოლებული XVIII საუკუნის დასასრულამდე. ამ კუნდამენტურ გამოკვლევაში მთელი რიგი საკითხები განხილულია ფართო ისტორიულ ასპექტში და იგი მეტად საყურადღებო შენაძენია არა მარტო ქართული ხელოვნების სპეციალისტებისათვის, არამედ საერთოდ საქართველოს ისტორიის მკვლევართათვის. ეს ნაშრომი მეცნიერის სადოქტორო დისერტაცია იყო.

რენე შმერლინგმა თავი მოუყარა, ქრონოლოგიურად დალაგა და ცალკე წიგნად გამოსცა მის მიერვე გრაფიკულად შესრულებული ქართული ხუროთმოძღვრული ორნამენტები, რომელიც თითქმის მთელ ძირითად რეპერტუარს მოიცავს V-XIV საუკუნეების ქართული არქიტექტურის დეკორატიული ნორმებისაგან. შესავალ წიგნში განხილულია იმ გზა, რომელიც ცხრა საუკუნის მანძილზე განვლო ქართულმა ორნამენტმა, როგორც არქიტექტურის ორგანულმა, განუყოფელმა ნაწილმა.


ქართული დასურათებული ხელნაწერი წიგნი ადრევე იქცა რენე შმერლინგის კვლევის ობიექტად. მისი დიდი ალბომი „ქართული ხელნაწერის მორთულობის ნიმუშები“ არსებითად პირველი ცდაა წარმოგიდგინოს ქართული ხელნაწერი წიგნის დეკორი IX-XVII საუკუნეების მანძილზე. მიმოიხილვამ, რომელიც ალბომს ახლავს შესავალი სახით, მოკლედ და სიზუსტითაა მოცემული ქართული ხელნაწერი წიგნის მორთულობის ძირითადი მხატვრული პრინციპები.

ხულ მალე გამოქვეყნდება რენე შმერლინგის ორტომიანი გამოკვლევა ქართული წიგნის მხატვრული გაფორმების შესახებ უძველესი ნიმუშებიდან, ვიდრე XI საუკუნის ჩაივლო. ეს მონუმენტური ნაშრომი ქართული ხელოვნებათმცოდნეობის მნიშვნელოვანი შენაძენია.

ძნელია შევხო ამავდარი მეცნიერის მოღვაწეობის ყველა მხარეს, მაგრამ მისი ნიჭისა და დიდი მხატვრული ადლის საილუსტრაციოდ არ შეიძლება მის მიერ შესრულებული ფოტოსურათებიც არ აღინიშნოს. საქართველოს ბუნებაზე შეყვარებული მეცნიერის მახეილმა თავლმა ფოტობიოგრაფიაში მოაქცია ჩვენი კუთხის ბუნების სილამაზე. მისი ფოტოსურათების კადრები დახვეწილია კომპოზიციურად და მხატვრული ნაწარმოების დონემდლა აყვანილი.

ვატყაყური, ბობოქარი ტემპერამენტის მეცნიერი, რომელიც ღრმა პრინციპულობით გამოირჩეოდა, ხშირად გამოდიოდა მეცნიერულ დისპუტებსა და სიმპოზიუმებზე. მას კარგად იცნობდნენ მთელს ჩვენს ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ. რენე შმერლინგმა ფართოდ გაიტანა ქართული ხელოვნებათმცოდნეობის — საბჭოთა ხელოვნების ისტორიკოსთა ჩუბინა-შვილისეული სკოლის მიღწევანი, იმ სკოლისა, რომელსაც იგი მთელი თავისი არსებით, გულწრფელად ეკუთვნოდა.

გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი აკადემიკოსები — რიბაკოვი და ალაპტოვი, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტ ლაზარევი, ლენინური პრემიის ლაურეატი, პროფესორი ვორონიჩი და სხვანი ამა წლის 28 თებერლის „Советская культура“-ში სამართლიანად აღნიშნავენ, რომ რენე შმერლინგმა თავისი ნაშრომებით სერიოზული წვლილი შეიტანა მსოფლიო ბიზანტინისტიკაში.



ერკავს რეგინა შამლიკაშვილი

## გზის დასაწყისი



ბილისში გამოკრული აფიშები იუწყებოდნენ: „მოსკოვის პ. ჩაიკოვსკის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ასპირანტი რეგინა შამლიკაშვილი კონცერტი“. იქვე აღნიშნული იყო საინტერესო და რთული პროგრამა. აფიშამ დიდალი მუსიკის მოყვარული მიიზიდა 26 მაისს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მცირე საკონცერტო დარბაზში. ახალი შემსრულებლის მიმართ ინტერესი დიდი იყო. ეს ბუნებრივია, ვინაიდან ყველამ ახალი სახელის გამოიჩინა ქართული მუსიკალური კულტურის ზრდის მარჯვენებელია.

რეგინა შამლიკაშვილი თბილისის მკვიდრია, მშობლიურ ქალაქში დაამთავრა 1965 წელს ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია, აქვე მიიღო პირველი პროფესიული წვრთნა, დაეუფლა საშემსრულებლო ჩვევებს. კონსერვატორიაში სწავლის პერიოდშივე ნიჭით, სერიოზულობით უჩვეულო შრომისმოყვარეობით მიიპყრო პედაგოგ-ალმუზრდელთა, მუსიკოსთა ყურადღება. რეგინას პროფესიულ წრთობაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული პიანისტური სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელს, კონსერვატორიის პედაგოგს, ხელოვნების დამსახურებულ

მოღვაწეს ვანდა შიუკაშვილს. მან გამოუმუშავა მომავალ მუსიკოსს კომპოზიტორთა ჩანაფიქრის წვდომის, შესასრულებელი ნაწარმოების ღრმად გააზრების უნარი.

თბილისის კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ რ. შამლიკაშვილმა სწავლა განაგრძო მოსკოვის კონსერვატორიის ასპირანტურაში, საბჭოთა კავშირის საფორტეპიანო სკოლის გამოჩენილ წარმომადგენელთან, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ფლიერთან. გულისხმიერი პედაგოგი დიდ იმედებს ამყარებს ნიჭიერ მოწაფეზე. ახალგაზრდა პიანისტის ზრდის მარჯვენებელი იყო სოლო კონცერტი. ქართველმა მუსიკალურმა საზოგადოებრიობამ მოისმინა დახვეწილი გემოვნებით შესრულებული, ღრმად გააზრებული ბახის ინგლისური სუიტა (მი მინორი), მოცარტის ფანტაზია (დო მინორი), პოეტურად, არტისტული გატაცებით დაუკრა შუბერტ-ტაუზიგ ანდანტინო ვარიაციებით, სერიაბინის სონატა-ფანტაზია, პროკოფიევის სონატა № 2, პიანისტმა ბისზე შესარულა XVIII საუკუნის გერმანელი კომპოზიტორის გრაუნის ჟიგა და მენდელსონის კაპრისი.

ეს იყო რეგინა შამლიკაშვილის პირველი საჯარო გამოსვლა, რაც დიდ პასუხისმგებლობას აკისრებდა პიანისტს. ასეთი რთული და მრავალფეროვანი პროგრამის მაღალ დონეზე შესრულება შეიძლება მხოლოდ მაღალი პროფესიონალიზმით და ტექნიკით, ოსტატობითა და ნატიფი მუსიკალობით. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ნიჭიერი ახალგაზრდა პიანისტი დაჯილდოებულია ყველა ამ მონაცემით. მან გამოსახვეული და გააზრებული შესრულებით მსმენელის მოწონება დაიმსახურა.

ახალგაზრდა მუსიკოსი ახლო მომავალში გამართავს კონცერტს მოსკოვის აუდიტორიისათვის, გააცნობს მას თავის საშემსრულებლო ხელოვნებას. ეს კონცერტი ასპირანტურაში სწავლის ერთი წლის ანგარიში იქნება.

შემოქმედებითი ზრდა, ახალი წარმატება, ოსტატობის შეუნელებელი სრულყოფა ყოფილიყოს რეგინა შამლიკაშვილის თანამგზავრი ხელოვნების რთულ გზაზე.

ლაპარა მლირუხვილი

# ბელარის ქანჩის ისტორიისათვის

მანანა ასმეტელი

XI საუკუნის დასასრულს მნიშვნელოვანი გარდატეხა ხდება შუასაუკუნეების ცხოვრებაში: დასავლეთ ევროპის მთავარ ქვეყნებში ფეოდალური წესწყობილება მკვიდრდება, რასაც მნიშვნელოვანი პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ცვრები მოჰყვა. ამ დროიდან ქალაქი ხდება წამყვანი ეკონომიური კატეგორია. აქვე დასაბამს იღებს ახალი სვერო კულტურა, რომელიც კათოლიკური ეკლესიის ძალაუფლების საწინააღმდეგო ვითარდება და საფუძველს უყრის მრავალ ახალ მხატვრულ მიმართულებას. შენდება ქალაქები, რატუშები, უნივერსიტეტები, ეკლესიები, რომლებიც არქიტექტურის რომანული სტილის აყვავებას მოწმობენ. ისახება ახალი გოთური სტილი. მისი განვითარების მანძილზე ხუროთმოძღვრების მრავალი შესანიშნავი ძეგლი შეიქმნა. ფართოდ იშლება საგანმანათლებლო მოღვაწეობა (არსდება უნივერსიტეტები), ყალიბდება ახალი ლიტერატურა (ფაბლიო, ფარსი, სატირული ნოველები, რომანები), რომელიც მსოფლიო ლიტერატურას მაღალმხატვრული ნაწარმოებებით ამდიდრებს. იქმნება შუასაუკუნეების ეპოსის დავლსაჩინო ნიმუშები: „სიმღერა როლანდზე“ (XI ს.), „პოემა ნიბელუნგებზე“ (XII ს.), „ლეგენდა ტრისტანზე“ (XIII ს.) და სხვ. შუასაუკუნეებიდან იწყება ევროპული აზროვნების ბრწყინვალე ეპოქა.

ამ პერიოდში მუსიკალური ხელოვნების სარიცხულ განხორციელდა დიდმნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლები. მანამდე მუსიკალური ხელოვნება იფარგლებოდა მხოლოდ ზეპირი ხალხური მუსიკალური ტრადიციებით, საცლესიო საგალობლებით, ცალკეული სკოლებისა თუ მონასტრების შემოქმედებით მოღვაწეობით. შუასაუკუნეებიდან დაიწყო მუსიკალური კულტურის ახალი წელთაღრიცხვა, რაც განაპირობა საერთო პროფესიული ნუსიკის დაბადებამ.

ამავე პერიოდს ემთხვევა რაინდული მოღვაწეობის აღმავლობის ხანა (ქნობანა), რომ რაინდობა დაიწყო ჯერ კიდევ VIII საუკუნეში, ადრე რაინდები წარმოადგენდნენ უხუცესსა და განათლებულ ჯგუფს, მათი ძირითადი საქმიანობა ნადირობა და ომი იყო. შუასაუკუნეებში კი რაინდობას უკვე გარკვეული აქვს თავისი კლასობრივი ინტერესების რაობა; იგი უპირობადება გლეხობას და ქალაქის ხელოსნობას, შემოშვავებს ფართო რაინდულ რიტუალს, ქვეყნის სპეციალურ წესდებას, რომელიც ქვეყნის „კურტაზულს“ ფორმებს მოითხოვს. რაინდობა გატაცებულია ლიტერატურითა და ხელოვნებით. მან პირველმა მიმართა მშობლიურ ხალხურ ხელოვნებას, რაც დიდ დამსახურებადა მიჩნეული. მათ სამოღვაწეო ასპარეზს ფეოდალთა სასახლეები წარმოადგენდნენ. რაინდული შემოქმედებაში პირველად გაისმა, მკაცრი კათოლიკური

ასკეტიზმის საწინააღმდეგოდ, მიწიერი ცხოვრების, ადამიანთა განცდების, სიყვარულისა და ბუნების მაღალი მოტივები.

რაინდული კულტურის განვითარება (რომელიც XI-XIV საუკუნეებს მოიცავს) სამხრეთ საფრანგეთის მნიშვნელოვან პოლიტიკურ-კულტურულ ცენტრში — პროვანსში დაიწყო. ნიშანდობლივია, რომ სწორედ პროვანსში ჩამოყალიბდა პირველი ლიტერატურული ენა, რომლითაც სარგებლობდნენ ესპანეთისა და იტალიის ცალკეული პროვინციები. მანვე დიდი გავლენა იქონია ინგლისისა და გერმანიის ლიტერატურისა და პოეზიის ჩამოყალიბებაზე. პროვანსში, ფეოდალური სინიორების სასახლეების კარზე, ხალხური შემოქმედების საფუძველზე ვითარდებოდა ახალი საერო, რაინდული მუსიკალურ-პოეტური ხელოვნება, რომელმაც დიდ აღმავლობას მიაღწია მუსიკოს-პოეტების ბრწყინვალე პლეადის ტრუბადურების შემოქმედებამ.

ტრუბადურების მოღვაწეობა პროგრესული მოვლენა იყო ანა მარტო ფრანგული ხელოვნების განვითარების თვალსაზრისით. მათი შემოქმედების ხალხურმა საფუძველმა, რეალისტურმა ხედვამ და ასკეტიური იდეოლოგიის წინააღმდეგ მიმართულმა ბრძოლამ სტიმული მისცა ევროპული მხატვრული აზროვნების განვითარებას. მან ზოგადევროპული მნიშვნელობა მიიპოვა.

ტრუბადურების შემოქმედების მხატვრული სახეების წრე ფართო და მრავალფეროვანია. ძირითადია სასიყვარულო — ყოფითი თემატიკა. რეალური, მიწიერი სიყვარულის მომღერალი ტრუბადურები ჯანსაღ ტრფობაში ხედავენ ადამიანთა ბედნიერებას. ტრუბადურებმა პირველად ლიტერატურის ისტორიაში თამაშეს ევროპული ლირიკული პოეზიის ფორმირებაში. ადამიანის განმაზოთა სამყაროს შემეცნება — აი მათი შემოქმედების ძირითადი მხატვრული ამოცანა. ამიტომაც ტრუბადურების მუსიკალურ-პოეტური ხელოვნება ევროპული ხელოვნების ისტორიაში განიხილება, როგორც ინდივიდუალური ბუნების სუბიექტური ლირიკა.

ჯანჩების მიხედვით ტრუბადურების სიმღერები ასე იყოფა: პასტურელი, ქალთა სათავი სიმღერები, საგანთიად სიმღერები, ალამბი, სატირული სიმღერები (სირვენტები), კომიკური დიალოგები, საცეკვაო სიმღერები (ესტამპიდები). მუსიკალურ-პოეტური კომპოზიციის მიხედვით ყველა ეს სიმღერა სტროფული აგებულებისა და შემდეგ მუსიკალურ ფორმებშია განსაზიერებული — ლე, ესტამპიდები, როტურენგები, რონდო, ვირლი, ბალადა. პროვანსული ლირიკა მჭიდროდა და დაკავშირებული ხალხურ სასიმღერო შემოქმედებასთან. ფოლკლორული ტრადიციებთან მჭიდრო კავშირის მქონეებზე



ლია ტრუბადურების შემოქმედების ერთ-ერთი ძირითადი განხილვა — ბალადი, რომელიც ხალხურ შემოქმედებაში საფერხულ-ეპიკურ სიმღერას წარმოადგენდა. თვით ტერმინი ბალადი ინტელიური სიტყვიდან წარმოსდგა (ballare — რაც ცეკვის ნიშნავს) თავდაპირველად იგი სიმღერისა და ცეკვის ერთიანობის სრულდებოდა: გაზაფხულის ეამს ღია ცის ქვეშ, მწვანე მინდორზე გლეხებსა და მოქალაქეებს უფარდით ცეკვა სიმღერის თანხლებით. პროვანსული ბალადის კავშირი ხალხურ შემოქმედებასთან თემატიკიდან (საგაზაფხულო ეამისა და სიყვარულის განდიდებას თემა, ეჭვიანი ქმრის დაცინვის მოტივი და მრავალი სხვა) და ჯერ კიდევ სუსტად განვითარებული ფორმის ანალიზიდან ჩანს. სახელდობრ, რეფრენის უპირატესობა და მისი დაკავშირება საერთო რიტმით სტროფის უკანასაძვლ სტროფიონთან. რეფრენის გუნდური ხასიათი და ცეკვის დროს დართული წამოძახილი „eva“ ცხადყოფს, რომ ბალადის ეპირა წარმოადგენს კურტუაზული ლირიკის მიერ ხალხური საფერხულო-სასიმღერო ფორმის შეთვისების მნიშვნელოვან მოვლენას.

პროვანსული ბალადი სტროფული აგებულების სიმღერაა, მას საფუძვლად უდევს გარტმული სტროფიონების შეფარდება გარკვეულ მელოდიურ ფრაზასთან. ასეთი რიტმულ-მელოდიური კომბინაციების თანმიმდევრობა ქმნის ჩამოყალიბებულ მუსიკალურ-პოეტურ ფორმას, რომლის განვითარების პრინციპი მარტივია: ორი ან სამი ძირითადი მელოდიური ფრაზა საფუძვლად უდევს პოეტურ სტროფს, მელოდიური ფრაზების განმეორების საშუალებით ხდება სტროფის ტექსტუალური შინაარსის გახსნა. ამ პრინციპით მიღწეულია ბალადის ფორმის მთლიანობა. თითოეული მელოდიური ფრაზა გამომსახველობით, სისადავითა და რიტმული ნახაზის გამოკვეთილობით ხასიათდება, იგი ამა თუ იმ მუსიკალურ-პოეტური აზრის დაპირისპირების საშუალებასაც წარმოადგენს.

მუსიკალურ-პოეტური ფორმის განვითარების ასეთი ხერხების მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ ტრუბადურების მუსიკალურ-პოეტურ ლირიკაში საფუძველი ჩაეყარა არა მარტო ახალ თემატიკასა და შინაარსს, არამედ თავი იჩინა მუსიკალური ნაწარმოების ფორმის ჩასახვის ცდებშიც. მანამდე შესაუკუნეების მუსიკაში არ ყოფილა წამოყენებული მუსიკალური ფორმის მთლიანობის ამოცანა. ეს საკითხი პირველად ტრუბადურებმა დააყვეს და განასაზიერეს კიდევ, ხალხური სასიმღერო ფორმების საფუძველზე. მუსიკალური ფორმის მთლიანობის პრობლემას მოჰყვა მუსიკალური კანონზომიერების საკითხიც. ამ დროიდან ბალადის მუსიკალური ფორმის ცალკეული ნაწილებიც ქმნიან დასრულებულ მუსიკალურ-პოეტურ მონაკვეთს გამოკვეთილი მუსიკალური კადანსორებით. ირკვევა თვით ამა თუ იმ კილოს ხასიათიც; ხშირად კილოების გერდითი ვხვდებით მაჭორს. შემდგომში ნაწარმოების ფორმის მთლიანობას მკაფიო რიტმული ნახაზიც ეჭვემდებარება; რიტმის შეესაბამება მოცემული ლექსის მეტრს.

ამრიგად, პროვანსული ბალადი, ტრუბადურების სხვა სასიმღერო ფორმებთან ერთად, წარმოადგენდა მნიშვნელოვან მუსიკალურ-პოეტურ ელემენტს, რომლის შედარებით მცირე მასშტაბში აირეკლა ახალი საერო მუსიკალური ხელოვნების ის

მხატვრული მიღწევები, რომლებმაც შემდგომში ხელი შეუწყო ეს დიდი მუსიკალური ხელოვნების ფორმირების პროცესს.

თავდაპირველად პროვანსული ბალადის მელოდიური ბუნება ემყარებოდა ეპიკურ-თხრობითი ხასიათის რეჩიტატივს. ეპიკურ-თხრობითი კილოს საწყისები კი გმირული ეპოსიდან მომდინარეობს. ცნობილია, რომ გმირული ეპოსი ხალხში დიდი სიყვარულით სარგებლობდა (მავალითისათვის საგმირისია დავასახელოთ შუასაუკუნეების ხალხური ეპოსის შედგენილება: „სიმღერა როლანდზე“, „პოემა ნიბელუნგებზე“ და სხვ.). სასიღერო დამწერლობის უქონლობის მიუხედავად, არსებობს აზრი, რომ გმირული ეპოსი დამღერებით სრულდებოდა, უცვლელი მონოტონური ხასიათის მისამღერი მთავარდებოდა თავისებური წამოძახილით „eva“. მას ხშირად ინსტრუმენტული თანხლებაც ერთოდა. დროთა ვითარებაში არქაული გმირულ-ხალხური ეპოსი, (რომელშიაც ხალხისა და მისი გმირების მამაცობა იყო განხილული) სასიღერო კარის კურტუაზულ ეპოსად გადაიქცა. აქ საგმირო ჰიმნებისა და საყვირების ფანფარული მოწოდების ნაცვლად დამკვიდრდა სიყვარულის კულტი. ასეუთა სიღამაზის ამსახველი ხობტა, რამაც ბალადის ლირიკული ხასიათი მიანიჭა. მუსიკალურ-პოეტური ნაწარმოების შემსრულებელს უნდა სცოდნოდა კარგი სიმღერა, რომელიმე მუსიკალურ ინსტრუმენტზე დაცკარა, რთული სტროფული სტრუქტურის პოეტური ფორმების შეთხზვა. ცნობილია, რომ ტრუბადურების ლირიკის ტექსტები რიტმის მიხედვით განსაკუთრებული სიმდიდრითა და მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ხშირად გარტმის ხელოვნება ვირტუოზულობას აღწევს.

XIII საუკუნის დამდეგს აღინიშნება პროვანსული კულტურის დაცემის პერიოდი. ალბიგონურ ომში (1209-1214 წ.) სამხრეთ საფრანგეთმა მარცხი განიცადა. ტრუბადურების სიმღერისა და კურტუაზული სიყვარულითების აღარ ეცვალა; ნებისთინ თუ უნებლიეთ მუსიკალურ-პოეტურ ხელოვნებაში პირველობა ტრუბადურებმა დათოვეს ჩრდილო საფრანგეთში დაარსებულ ახალ შემოქმედებით დაკავსებულ — ტრუბადურებში. მათი შემოქმედება პროვანსული ლირიკის უშუალო ზეგავლენით განვითარდა. ამასთან, ტრუბადურების შემოქმედებითი გარემო ბერით არ განსხვავდებოდა ტრუბადურებისაგან, ალბათ ამიტომ ტრუბადურის მუსიკალურ-პოეტური ხელოვნების თემატიკა და სტილისტიკა ემსგავსებოდა პროვანსულ ლირიკას.

მუსიკის ისტორიის შემოირაჩ მხოლოდ იმ ტრუბადურებისა და ტრუბადურების სახელები, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ახალი მუსიკალურ-პოეტური ხელოვნების განვითარებაში. ესენია — გრაფი გილონი, ჰუატიე, ჰერცოგი აკვიტანელი, ბერტრანდ დე ბორნი, ბლონდელ დე ნეული, სამბო დე ვაკეირა, ტიბო — ნავარის მეფე და ადამ დე ლა პალი.

მაღე ტრუბადურების ხელოვნება გასცდა საფრანგეთის საზღვრებს. XII საუკუნეში ტრუბადურები იტალიას ესტუმრნენ. ტურინში, პალერმოსა და ბოლონიში მათმა სიმღერებმა დიდი სიყვარული და პოპულარობა მოიპოვეს. იქ ბალადამ უშუალოდ განიცადა იტალიური ხალხური კანონის ზეგავლენა. იგი ახალი ნიშან-თვისებებით მიდრდებდა. სწორედ იტალიაში ბალადამ საბოლოოდ გაწყვიტა ყოველგვარი კავ-



შირი საცეკვაო მუსიკის ელემენტებთან. საყურადღებოა ბალადის მუსიკალურ-პოეტური კომპოზიციიდან რეჟისრის გაკუმების ფაქტიც.

ბალადამ უდიდესი გავლენა მოახდინა იტალიის ლიტერატურისა და პოეზიის ფორმირებაზე. ამ ეპოქის ბრწყინვალე ნიმუშები შექმნეს დანტე და პეტრარკამ.

XIV საუკუნიდან იწყება ბურჟუაზიული წესწყობილების ფორმირების პროცესი. აღმავალმა კაპიტალიზმმა, ქალაქების ინტენსიურმა ზრდამ, საერთო კულტურის თვალსაზრის მიზანოვარმა, შუასაუკუნეების ასკეტური მსოფლმხედველობის წინააღმდეგ ბრძოლამ განაპირობა ახალი ჰუმანისტური კულტურის დაბადება, რომელიც ევროპული ხელოვნების ისტორიაში რენესანსის სახელწოდებით არის ცნობილი.

გელესიის ძალაუფლების უკუღებეულყოფა, თანამედროვეობის რეალისტური აღქმა, ჰუმანისტური მსოფლმხედველობა, აზროვნების რეალისტური მეთოდები — ასეთია რენესანსის ის ძირითადი პროგრესული ტენდენციები, რომელთაც განაპირობებ რენესანსული კულტურის განსაცვიფრებელი აღძვლები (XV-XVI ს.) და შექმნეს უცდავი მხატვრული ძეგლები ხელოვნების ყველა დარგში — ხუროთმოძღვრებაში, მხატვრობაში, ლიტერატურასა და პოეზიაში.

რენესანსის კლასიკურ ეპოქაში პროფესიული მუსიკა პირველად განიცდის აყვავებას. იგი ბრწყინვალე შემოქმედებითი მიღწევებითაა აღსავსე. დასაბამს იღებს ახალი მუსიკალური სტილი, იმადება ოპერა, ორატორია, კანტატა, ინსტრუმენტული მუსიკის ახალი ჟანრები, საფუძველი ეყრება მუსიკის თეორიულ მეცნიერებას.

რენესანსის მხატვრული აზროვნების ცენტრში დგას ადამიანი, რომლის მდიდარი გრძობათა მასაჟის შემქმნება მუსიკალური ხელოვნების ძირითადი ამოცანაა. ამასთან მუსიკალური ხელოვნება მიიღობს ობიექტური სინამდვილის აღწერისავე, ცალკეული ეპიკური სცენების დასურათებისავე, ცდომილად გულწრფელად განასახიეროს ხედვითი და სმენითი შთაბეჭდილებანი. რენესანსის მუსიკალური კულტურა იძენს ემოციურად მდიდარ, ლირიკულ შინაარსს. მუსიკალურ შემოქმედებაში აღინიშნება ნაწარმოებთა მასშტაბების გაფართოვება, მრავალფეროვანი გამომხატველობის საშუალებების გამოყენება, მუსიკალური ფორმების ჩამოყალიბება, კომპოზიციურ-პარამონიული კანონზომიერების დადგენა, ნელდობური გამომხატველობის უპირატესობა, მრავალხმიანობის განვითარება.

აღნიშნული ძვრები საფრანგეთსა და იტალიაში განვითარებულ თავისებური მხატვრული მიმართულების Ars nova-ს დამახასიათებელი მიჩნეული. Ars nova-ს მხატვრულმა მიღწევებმა განსაკუთრებით იჩინა თავი ვოკალური ლირიკის ჟანრში და განაპირობა ბალადის ეპოქის შემდგომი ფორმირება.

Ars nova-ს მხატვრული ტენდენციები სრულყოფილად გამოვლინდა უნიკალური ფრანგი კომპოზიტორის გიტიომ დე მარსის (1300-1377) შემოქმედებაში. მისი მრავალხმიანი მოლაპარაკება წარმოადგენდა იმ შემოქმედებით ხილს, რომლითაც ტრუბადურების მუსიკალურ-პოეტური ტრადიციები დაუკავშირდა XIV საუკუნის ახალ პროფესიულ ხელოვნებას.

გიტიომ დე მარსი შემოქმედება აღსავსეა ჯანსიერ, სიმბოლოით სავსე მხატვრული სახეებით. კომპოზიტორი გატაცებული იყო ხალხური სიმღერებითა და ცეკვებით, იგი მიმართავდა ყოფაცხოვრებაში, გავრცელებულ სასიმღერო, საცეკვაო ფორმებს: („ლე“, „რონდო“, „ვირილე“, „ბალადა“). მათ საფუძველზე შენიჭდა იგი დიდი მხატვრული ღირებულების მრავალხმიანი მუსიკალურ კომპოზიციებს.

გიტიომ დე მარსი პირველად დამუშავდა მრავალხმიანი ვოკალურ-ინსტრუმენტული ბალადის სახე, მისი ბალადები უმეტესად ორი ან სამხმიანი სიმღერებია, რომელთაც ინსტრუმენტული პარტია ახლავს. ბალადის ფორმაში პირველად გაიშალა ღრმა შინაარსი, რითაც კომპოზიტორის ფასდაუდებელი დეპოსი მიუძღვის ამ ეპოქის განვითარების ისტორიაში. ეს ბალადები ლირიკული ხელოვნების საუკეთესო ნიმუშებია.

XIV საუკუნეში ბალადა გავრცელდა საფრანგეთის არისტოკრატულ წრეებში. კარის პოეტები და კომპოზიტორები ხშირად მიმართავდნენ ამ ეპოქის და ანიჭებენ მას არისტოკრატული კულტურის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს. ამ ბალადებისათვის დამახასიათებელია ფორმის გაქვავება. მკვიდრდება ბალადის შემდეგი სტრუქტურა: სამი ბტროფი, მიმართული იმ პირისადმი, რომელსაც ეძღვნება ბალადა, იგი უმეტესად იწყება სიტყვით „Prince“, ამ ბალადების ფორმის სრულყოფა თვითმიზნურია და მოკლებულია ყოველივე შემოქმედებით იმპულსს. აღინიშნება ემოციის პასიურობა, კურტუაზული ლირიკის გულწრფელი თმბატაკა მცველილია მშრალი და ყალბი ალგორიზმით. ბალადის ლიტერატურულ ტექსტში, გარიტმვის ოსტატობა ვირტუოზულობას აღწევს. ასეთი ბალადების ავტორები არიან კარლ ორლენაელი, ფრანსუა, ალენ შარტიე და სხვ.

XIV-XV საუკუნეებში ბალადით დაინტერესდნენ საზოგადოებრივი იდეოლოგიის, ე. წ. მასმე ფენის წარმომადგენლები. ბალადის სრულად სხვა თმბატაკა დაედო საფუძვლად, მრავალდას ყოფაცხოვრების კურტუაზული ფორმების დაყენება და აბუჟად აგდების ნაკალითი. მათ შემოქმედებაში თავს იჩენს უსეუი და პრიმიტიული გედნიზმი, ჩნდება პოლიტიკური და სოციალური სატირის ცდები, რომელიც ძირითადად ხალხური დიალექტადან მომდინარეობს. ასეთია ესქატა დე შანისა და ფრანსუა ვიიონის ბალადები, რომელნიც საფრანგეთში დიდი პოპულარობით ხარგებლობდნენ.

ამრიგად, რენესანსის ეპოქაში ბალადა იძენს სოციალურ ფუნქციას, მისი საშუალებით მხილებულ იქნა ბურჟუაზიული იდეოლოგიისათვის დამახასიათებელი კლასობრივი ინტერების წინააღმდეგობობობა.

XIV-XV საუკუნეებში ბალადა კვლავ ვითარდება იტალიაში, სადაც მუსიკალური ხელოვნება Ars nova-ს პროგრესულ გავლენას განიცდის. მუსიკალური ხელოვნების ცენტრია ფლორენცია, რომელიც საერთოდ რენესანსული კულტურის პირველი მძლავრი კერა იყო. აქ — პეტრარკასა და ბოკაჩოს მშობლიურ ქალაქში — ლიტერატურისა და პოეზიის გვერდზე ინტენსიურად ვითარდებოდა მხატვრობა და მუსიკა. განსაკუთრებით კი ვოკალური ლირიკა და ეპიკური ხასიათის სასიმღერო სცენები. ფლორენციაში მოხდა მუსიკალური ხელო-

ხების პირველი აყვავება, რაც მადრიგალის, ბალადის და კაჩას ფორმებში გამოისატა.

ამ პერიოდის კალიგრი მუსიკალური ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენელი კომპოზიტორი ფრანსუა ლანდინო. მან განსაკუთრებით ნაყვინივად იმოღვაწა მადრიგალისა და ბალადის ვერში. ფ. ლანდინომ, რომელიც შესანიშნავად ფლობდა მრავალხმიანი სტილის რთულ ტექნიკას შექმნა მრავალხმიანი ბალადის მაღალმატერული ნიმუში. ლანდინოს ბალადები ძირითადად სამხიანია, თითოეულ ხმას განკუთვნილი ტექსტი მიჰყავს, ამასთან კომპოზიციურ მთლიანობას აწარჩუნებს ლანდინოს ბალადები გამორჩევა პარმონიული ენის სიახლოთ და ფორმის ნაწილების გამოკვეთილობით.

XV საუკუნეში ბალად საფრანგეთიდან ინგლისსა და შოტლანდიაში ვრცელდება. აქ იწყება მისი განვითარების ახალი სტადია. ცნობილია, რომ სიტყვა „ballad“ ინგლისურ ენაში ფართო მნიშვნელობით იხმარება — ასე უწოდებენ ინგლისური და შოტლანდიური ხალხური შემოქმედების ლირიკულ-ეპიკურ სიმღერას გუნდური რეჟერენით. სწორედ მის საფუძველზე მოხდა ინგლისური ბალადის ძირითადი ელემენტების შემოწავება. ინგლისურ შოტლანდური ბალადები მრავალფეროვანია თემატიკისა და სიუჟეტების მიხედვით, უმეტესად გარეცხლებულია ტრაგიკული სიუჟეტები საბედისწეო სიყვარულის, სისხლიანი შურისძიების, ნეკლელოებისა და სხვა თემების შესახებ. მოქმედება ხშირად ნახევრად ფანტასტიკურ გარემოში ვითარდება. ეპოიური ტონი პირველი, მეღანკოლური ხასიათის თორბოს წარმოადგენს. ამ ბალადების პერსონაჟები არიან ხალხის ფენის სხვადასხვა წარმომადგენლები — ხელოსნები, მოქალაქეები. მხატვრულ სახესია მიხედვით შეიძლება დადგინდეს ამ სოციალური წრის უსთერტური მოთხვნეობა და გემოვნება. ინგლისურ-შოტლანდურ ბალადებში დასაბამს იღებს სოციალური და პოლიტიკური სატირის ცდები; ხშირად ამ მოტივებს აეიტაციური ხასიათი აქვს, დიდი გავლენით სარგებლობენ ხალხში, ამიტომაც ხელისუფლებამ ამ ტიპის ბალად საპოლემიკო სახანდაქცია და ბრძოლა გამოუცხადა მას.

ინგლისურ-შოტლანდურ ბალადებში პირველად გაისმა გმირულ-პატრიოტული მოტივი, გმირული ისტორიის ამსახველი სურათები. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა, ე. წ. „სახლერის“ ბალადები, მათში ინგლისისა და შოტლანდიის სასოფრებზე ბრძოლებში, მამაციობისა და გმირობის ამბები გადმოცემული. განსაკუთრებით შოტლანდური ბალადებია გამსჭვალული თავისუფლებისადმი სიყვარულით და დიდი პატრიოტიზმით. ამ მხრივ აღსანიშნავია საყოველთაოდ ცნობილი მაღალმატერული ხალხური ბალადი რომან პულუ. შოტლანდური ბალადებისათვის დამახასიათებელია იუმორი და გულწრფელობა, რაც მათ ცხოველმყოფელობას ანიჭებს.

ინგლისურ-შოტლანდურ ბალადებს ახასიათებს მუსიკალურ-პოეტური მასალის ფრაგმენტული განვითარება. მათში ფრაგმენტულია მოქმედების მსვლელობის მხოლოდ უმაღლესი მონეტები. ეს ბალადები უმეტესად დიალოგურ ფორმშია დაწერილი. ჩანს, მუსიკალურ-პოეტური მასალის დრამატიზაციის ტენდენცია.

ბალადი მნიშვნელოვანი ადგილი დაიკვიდრა ინგლისურ პროფესიულ ლიტერატურაში. ნიმუშად მოვიყვანო თომას პერსის მიერ ინგლისური და შოტლანდური ბალადების სახელმძღვანელო კრებულს „უძველესი ინგლისური პოეზიის რელიკვია“ (1765-1794 წლები). მოგვიანებით, 1802 წელს გამოჩნილია ინგლისურმა მწერალმა ვალტერ სკოტმა გამოქვეყნა „სახლერის ბალადების“ კრებული. ცნობილია, რომ ვალტერ სკოტმა მრავალი ნნიშვნელოვანი მხატვრული ნაწარმოები შექმნა ინგლისური ბალადის ვერში. ინგლისურ-შოტლანდურმა ბალადებმა დიდი ზეგავლენა მოახდინეს XVIII საუკუნის თითქმის ყველა ევროპული ქვეყნის პროფესიულ ლიტერატურაზე — განსაკუთრებით კი კლასიციზმის, „ქარიშხლისა და შეტვის“ პერიოდის ლიტერატურაზე და რომანტიზმის ეპოქის ხელოვნებაზე. ხალხურმა სულმა, შუასაუკუნეების მომიხივებლმა თემატიკამ, ღირსშემად და ფანტასტიკამ განაპირობა ბალადის ვანის გავრცელება. ამ თვისებების გამო ბალადი მკვიდრდება რომანტიკულ ხელოვნებაში. იგი არ დარჩა რომანტიკული მიმართულების თითქმის არც ერთი ღირსშესანიშნავი წარმომადგენლის ყურადღების მიღმა.

განსაკუთრებული თავისებურებით ვითარდება ბალადი გერმანიაში. გერმანული ბალადი ორგანულადაა დაკავშირებული გერმანულ ფოლკლორთან, კერძოდ კი ხალხურ ლექსთან, რომელიც თავის მხრივ ინგლისურ-შოტლანდური ბალადების მსგავსად, ისტორიულ საფუძველებს ეყრდნობა და დრამატულ-ტრაგიკული სიუჟეტებით სასრლობს. „ვისაც გერმანელთა ცხოველება კარგი მხრით უნდა გაიკოს, უფრჩვე, მათი ხალხური სიმღერები შეაიკონოსა! — ამბობდა პირველი.

XVIII საუკუნიდან იწყება ბალადის ვანით გატაცება გერმანიაში. სადღე კარგად იცნობდნენ ინგლისურ-შოტლანდურ ბალადებს, აგრეთვე თომას პერსის საინტერესო კრებულსაც. გერმანული კლასიკური ბალადის ფორმების საქმედო დიდი ღვაწლი მიუძღვის გერმანული ხალხური შემოქმედების კრებულებსა და ანთოლოგიებს. ნიმუშად მოვიყვანო გამოჩენილი მოაზროვნისა და საზოგადო ნიღაწის ოქან გეტფრედ ჰერდერის ხალხური ბალადებისა და სიმღერების კრებულს „ხალხთა ხმა სინღერებში (1778-1779 წ.). ჰერდერი, „ქარიშხლისა და შეტვის“ ეპოქის რეკოლოუციური დემოკრატიზმის პოეტიკურ იდეა, მან ჩამოაყალიბა აღნიშნული მიმართულების საზოგადოებრივი, ფილოსოფიური და ესთეტიკური იდეები, დიდი დამსახურება მიუძღვის ხალხური შემოქმედების შესწავლის საქმეში. იგი ამტკიცებდა, რომ ყველა ხალხს, დიდსა თუ პატარას, მოეპოვება პოეტური შემოქმედების უძეარფასესი ნიჭი. თავის კრებულში გააერთიანა სხვადასხვა ერების ხალხური სიმღერები და პირველმა გერმანიაში მიუთითა ნათი კულტურული ტრადიციების სარგებლობის მიხედვით.

1806-1808 წ. გამოქვეყნდა რომანტიკოსების — ოიაიმ არნიმისა და კლემენტ ბრენტანოს ანთოლოგია „ყმაწვილის ჯადოსნური ბუკი“. მან დიდი დახმარება გაუწია გერმანული ბალადის ფორმირებას. არნიმისა და ბრენტანოს შემოქმედებითი თანამშრომლობა მიმართული იყო ბურჟუაზიული ცივილიზაციის წინააღმდეგ. შუასაუკუნეების მომიხივებლობაში, პატრიარქალურ ყოფაცხოვრებაში ხედავდნენ ისინი თავისი





პოზიციების დასაყრდენს, ამიტომ არნიშმა და ბრენტანომ დაიწყო ხალხური სიმღერების შეგროვება, დამუშავება და გამოქვეყნება.

ამავე პერიოდში გამოქვეყნდა ლუდვიგ ულანდის, კარლ ზიმროფის და დეტლფე ფონ ლილიენგრონის ხალხური პოეზიის ანოლოგიები.

გერმანული რომანტიკული ბალადის ფორმირებაზე დიდი გავლენა მოახდინა სხვა ხალხების მუსიკაუწევების ხელოვნების მხატვრულმა ძეგლებმაც. კერძოდ ესაზნაურმა „Romantero“-მ, თავისი ესპანურ-გერმანული ეგზოტიკურობით მისიბლა გერმანელი რომანტიკოსები.

გერმანული ბალადის ფორმირებას შეუწყო ხელი აგრეთვე შოტლანდური ბარდების ცნობილმა „თქმულებამ ოსიანზე“.

პოეტური ფოლკლორის მხატვრული ტრადიციების ათვისების შედეგად XVIII საუკუნეში შექმნა გერმანული ბალადის კლასიკური ნიმუში. ეს გახლდათ ცნობილი პოეტის ბიურგერის ბალადები „ლენრაა“, რომლის დემოკრატიზმმა, რეალიზმმა და ხალხურობამ დააწინაურა ბიურგერი გერმანული კლასიკური ბალადის ფუძემდებლად.

ბიურგერის ბალადებს მოჰყვა გოეთეს მხატვრული შედეგები — ბალადები „ტყის მფევა“, „მეთევზე“ და „თულეს მფევა“, რომლებმაც ბალადა საბოლოოდ დაამკვიდრეს გერმანულ კლასიკურ-განმანათლებლურ ლიტერატურაში. შემდეგში ბალადები მიმართეს გერმანული რომანტიზმის თითქმის ყველა წარმომადგენელმა — შილერმა და შამისომ, ულანდმა და ბრენტანომ, აიხენდროფმა და სხვებმა.

მე-19 ს. გერმანულ ლიტერატურაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ადელმერტ ფონ შამისოს ბალადებს, რომელნიც ბიურგერის რეალისტური ბალადის გზას ანვიოთებენ. შამისოს ბალადებში ძლიერდება მალაი ქანანისტური იდეალი, რითაც ახალი ფურცელი იწყება ამ ეპოქის განვითარების ისტორიაში. გერმანული რომანტიკული ბალადა ძირითადად ჭუნანური და დემოკრატიული ტენდენციების მატარებელია: სიკეთისა და ბოროტების შეჯახება, ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლა, კაცობიერება, პატიოსნება და გამგებლობა — ასეთია გერმანული რომანტიკული ბალადის მხატვრული თემატიკა. თანამედროვეობასთან შესაბამისად იცვლებოდა ბალადის სოციალურ-პოლიტიკური ფუნქციაც. მარამ ბალადა ყოველთვის ინარჩუნებდა იმ აუცილებელ სპეციფიკურ თემატურას და ფორმალურ ელემენტებს, რომლითაც იგი მკაფიოდ განსხვავდებოდა გერმანული პოეზიის სხვა ჟანრებისაგან.

მოქმედების დრამატული განვითარება, თხრობის ეპიკური ტიპი, თავისუფალი პოეტური მეტრიკა გერმანული ბალადის ტიპიური თვისებებია. ლირიკული, ეპიკური და დრამატული ურთიერთმერწყმა ქმნის ბალადის განრულ სპეციფიკას. „უპოსი, ლირიკა და დრამა — წერდა გოეთე 1831 წ. — შეიძლება შემოქმედებდეს ერთად და ცალ-ცალკე. პატარა ლექსშიც კი შეიძლება ისინი ერთად ვიპოვოთ. სწორედ ასეთი შეერთების დროს მცირე მოცულობის მიუხედავად, განსაკუთრებით თვალსაჩინოა სურათი, რასაც ყველა ხალხების უღრესად მდიდრულ ბალადებში ვხედავთ“.

რომანტიკული ლიტერატურა და პოეზია შემოქმედებად


ხელოვნების თითქმის ყველა დარგზე და განსაკუთრებით კი მუსიკაზე, რასაც პროგრამული მუსიკის მაღალი ნიმუშების შექმნა მოჰყვა.

რომანტიკული ლიტერატურისა და პოეზიის ზეგავლენამ მუსიკალური ხელოვნების მთელ რიგ ჟანრებსა და ფორმებში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა. განაპირობა ასალი მუსიკალური ფორმების შექმნაც, განსაკუთრებით ნაყოფიერი აღმოჩნდა რომანტიკული პოეზიის ზეგავლენა ვოკალურ მუსიკაზე. სწორედ ლიტერატურული ბალადის ზეგავლენით XIX საუკუნეში ჩამოყალიბდა ვოკალური ბალადის ასალი რომანტიკული ტიპი, რომლის ძირითადი თემატური და ენერული თავისებურებანი რომანტიკული ლიტერატურული ბალადის სპეციფიკამ განსაზღვრა. ეპიკური და დრამატული ელემენტების ურთიერთგავსებით და სუბიექტური ლირიკული განწყობის ჩართვა, ზოგჯერ ფანტასტიკური საწყისის გამოყენება, ფორმის თავისუფალი სტრუქტურა ფართო გასაქმნა აქველდა რომანტიკოსი კომპოზიტორების შემოქმედებით ფანტაზიას. მუსიკალური ლიტერატურა მდიდარია მაღალმხატვრული ვოკალური ბალადებით.

მრავალფეროვან თემატიკას, მოვლენათა სიმძაფრეს ეზრიტვედა ბალადის კულტურის ან სამანწილიანი ფორმა, ამიტომაც უმეტესად თავისუფალი ფორმის ბალადები დამკვიდრდა. ასეთი ტიპის ბალადებში კომპოზიტორი რომანტიკოსები თანდათანობით მიჰყვებიან ლიტერატურულ პირველწყაობს, სიუჟეტის გენერალურ ხაზს. კომპოზიტორის შემოქმედებითი ფანტაზია მიმართული იყო ტექსტის მხატვრული სახეების თვ განწყობილების გამოთქმისაკენ. ბალადის მხატვრული სახეების კონტრასტული ხელს უწყობდა ენარის დრამატისაციას. ამრიგად ჩამოყალიბდა თავისუფალი ფორმის ვოკალური ბალადა, რომელიც კონტრასტული ეპიზოდების ცვალებადობის პრინციპს ემყარებოდა.

ვოკალურ ბალადის გერმანიაში პირველად მიმართეს იოჰან ერნსტ ბახმა და მავდებურგის ტაძრის ორლანსტამა ვალენტიან პერბინგმა, ამ უკანასკნელმა შემოიღო სოლო ბალადა ფორტიპიანოს თანხლებით. საგრძნობი ცვლილებები შეიტანა ბალადის ენარში კომპოზიტორმა დედმამიწა. XIX საუკუნის დასაწყისში მისი ბალადები დიდ პოპულარობით სარგებლობდნენ და დიდი გავლენა მოახდინეს რომანტიკული მუსიკის ბრწყინვალე წარმომადგენლის ფრანც შუბერტის შემოქმედებაზე. ცნობილია, რომ ახალგაზრდა შუბერტი თავისი შემოქმედების დასაწყისში ვოკალურად მძავედა ცემპტების ბალადებს. სწორედ შუბერტმა შექმნა რომანტიკული ვოკალური ბალადის მაღალმხატვრული ნიმუში გოეთეს ბალადის „ტყის მფევის“ საფუძველზე.

ბალადის ენარის მიმართავს აგრეთვე კომპოზიტორი მარკუნერი. განსაკუთრებით კი აღსანიშნავია კომპოზიტორ კარლ ლოვეს ბალადები, იგი მუსიკის ისტორიაში „ბალადების მფევის“ სახელწოდებითა ცნობილი. კ. ლოვეს ბალადებმა საგრძნობლად გაამდიდრეს გერმანული კამერული მუსიკა. სწორედ ამ კომპოზიტორების ბალადებში იხსუება რომანტიკული ბალადის სპეციფიკური ნიშან-თვისებები, ძირითადი თემატური-ფორმალური ელემენტები.



ვერცხლის ფილიგრანული საწყერი ხელსაწყოები

ლითონის მრავალი ნივთი, რომლებიც ადასტურებენ, რომ იმ დროის ახალციხის ტერიტორიის „მკვიდრნი უკვე ნამდვილ მელითონეობას მისდევდნენ და ნამდვილი მეტალურგები იყვნენ“<sup>1</sup>.

ძველ ბერძენ მწერალთა ცნობებითაც მესხი ტომები კარგად ფლობდნენ სპილენძისა და რკინის დამუშავების წესებს. მათი ნახელავი იარაღები კარგი გამოდიოდა იმიტომ, რომ ისინი მადანში, კერძოდ სპილენძში, იქარო მიწას ურევდნენ და მასთან ერთად ადნობდნენ.

ჩვენი სახელოვანი ისტორიკოსი აკად. ივანე ჯავახიშვილი ამტკიცებდა, რომ ოჭრო, ვერცხლი, სპილენძი, რკინა, ტყვია და ა. შ. ქართული წარმოშობის სახელებია და რომ „ქართველ ტომებს მადნეულობის დამუშავებაში საპატიო ღვაწლი მიუძღვით ძველი განათლებული კაცობრიობის წინაშე“<sup>2</sup>.

შუა საუკუნეების ეკლესია-მონასტრებით მოვსნილ ახალციხის მხარეში მხატვრული ხელოსნური წარმოების განვითარების ტრადიციები ადრინდნევე არსებობდა. ამაზე მიგვითითებენ შესანიშნავი ოქრომჭანდაკვებლების — ბეჭეწენ და ბეჭა ოპიზარების ჭედური ხელოვნების უნიკალური ნიმუშები — წყაროსთავისა და ტბეთის სახარებების, ხახუსისა და ანჩისხატის მოჭედლობათა სახით, რომლებიც დღემდე ინარჩუნებენ თავიანთ დიდ ღირსებებს. იგივეს ადასტურებს ბეჭა ოპიზარის მიერ შესხეთში დაარსებული ოპიზის მხატვრული სკოლა, რომელიც „გვგვამდა და ასაზრდობდა ქართულ მხატვრულ შემოქმედებას რელიგიური პლასტიკის დარგში“<sup>3</sup>.

ხელოსნობის, ქალაქის გაჩენის ამ საწყისი ფორმის, განვითარების ძირითადი ხელისშემწყობი იყო სოფლის მეურნეობის განვითარება და ქვეყნის მაღალი ეკონომიური დონე. ხოლო თვით ხელოსნობა-ვაჭრობის განვითარება აპირობდა და განახლებდა ქალაქისა და საერთოდ ქვეყნის ეკონომიურ ზრდა-განვითარებას. ქვეყანაში მომხდარი სოციალურ-ეკონომიური ძვრების შედეგად იქმნებოდა ახალი ქალაქები, ვითარდებოდა ხელოსნობა და ვაჭრობა. ამრიგად, სხვა ქალაქების მსგავსად, საქართველოს გაერთიანების ხანის (IX-X ს. ს.) ქალაქის — ახალციხის ეკონომიური მდგომარეობაც დამოკიდებული იყო ხელოსნობის „საქაწყო ცხოვრების“ ამ „განუყრელი ნაწილის“ განვითარებაზე.

შუასაუკუნეების ახალციხეში სამშენებლო, საოჯახო ჭურჭლეულის, სასოფლო-სამეურნეო და საომარი იარაღების მრავალრიცხოვანი ხელოსნები იყვნენ. ამაზე მიგვითითებს არქეოლოგიური აღმოჩენები, აგურისა და თიხის კარგად გამომწვარი ლამაზი ფორმის კერამიკული ნაწარმი: ქილები, დოჭები, წყალსადენი მილები, ჩიბუხები, ჭებზე გამოქანდაკებული ხელოსნური სპეციანობის აღმნიშვნელი ნიმუშები და სხვ. აგრეთვე ქალაქის ძველი ნაგებობები და გვიან წერილობითი წყაროები.

XII-XIV ს. ს. ახალციხეში და მის ახლო ადგილებში აშენებული მატერიალური კულტურის ძეგლები (ვარძია, საფარა, ზარზმა, თისელი.) სხვადასხვა დარგის მრავალრიცხოვან ხელოსანთა არსებობაზე მეტყველებს. შესანიშნავი ხუროთმოძ-

## ახალციხის

## ხელოსნობა

## ნაკრები

## ახალციხეში

დავით კოჭორიძე



ხალციხის მხარეში, ანუ ისტორიულ მესხეთში, სადაც მოსახლეობის სამეურნეო-კულტურული ცხოვრება შორეული წარსულიდან იწყება, ადრინდნევე

ყოფიან განვითარებული სპილენძის, ბრინჯაოს, ოჭროს, ვერცხლისა და რკინის დამუშავება. აკეთებდნენ საოჯახო მოხმარების ნივთებს, საომარ იარაღებსა და სამკაულებს. ამაზე მიგვითითებს ახალციხის რაიონის სოფლებში — უდესა და საყუნეთში აღმოჩენილი II ათასწლეულის დამლევისა და I ათასწლეულის დამდგის ბრინჯაოს ნივთების ძვირფასი განძები და თვით ქალაქ ახალციხის ტერიტორიაზე მოპოვებული

1 ტ. ჭუბინაშვილი, ამირანის გორა, 1961 წ. გვ. 57.  
2 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი 5, გვ. 24-25.  
3 შ. ამირანაშვილი, ბეჭა ოპიზარი, 1937 წ. გვ. 31.

ერული ძეგლი, კლდეში ნაკვეთი გრანდიოზული ციხე-ქალაქი ვარძა, თავისი სწავებითა და კლდის მხატვრობით მოწმობს სამცხის ხუროთმოძღვრების განვითარების მაღალ დონეს და ხელოვნური წარმოების ცალკეული დარგის ხელისშეწყობას სიმარაგულს. ხელოსნები იქ იმდენად მრავალრიცხოვანი ყოფილან, რომ „სხვა კუთხეებშიც დადიოდნენ სამუშაო“<sup>4</sup>.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, ანუ ყოფილი სამცხე-საათაბაგოს სამთავროს დედაქალაქ ახალციხეში, როგორც საქართველოს სასაზღვრო ქალაქში, თავდაცვის მიზნით, ადრინდელ განვითარებული იყო იარაღის (შვილისარი, ხმლი, სატყვეარი, მუზარაღი, ფარი, თოფის ჩახმაზი, კონდახი...) მე-ეთეობობა. იქვე არსებობდა კერძო პირების შინასარეწები: დაბახანები - ტყავის დამმუშავებელი სახელოსნოები, თხის ჭურჭლის გამოსაწავავი ქურები, ზეთსახელები (ბეურხანები), სამღებროები, შალის საქთვი დაზეები და ა. შ. შალეულის წარმოებას აქ განაპირობებდა მადალანეთარებული მეცხვარეობა.

ახალციხეში XIII-XV ს. ს. არსებობდა საკუთარი ზარაფხანაც, რომლის ნუმიზმატიკური მასალის სიუხვე მოწმობს იმას, რომ მას მრავალრიცხოვანი მონეტები გამოუვიდა. მათი სიმრავლით იგი საქართველოში მესამე ადგილზეა თბილისისა და ქუთაისის შემდეგ. ახალციხის ზარაფხანის ხანგრძლიობა დაახ. 250 წლით განისაზღვრება და გამოშვებული პროდუქცია სამცხის დამოუკიდებელ სამთავროდ არსებობას ემთხვევა<sup>5</sup>.

XV-XVI ს. ს. მეტრთა შემოსევასა და ფეოდალებს შორის გაუთავებული შეტაკებების გამო ახალციხეში დაცვა ხელისონობა-ვაჭრობა, ოსმალთა ბატონობის პერიოდში კი ისე დაქვეითდა, რომ სავაჭრო-ეკონომიური კავშირი გარესამყაროსთან აკერ მიიშალა, შემდეგ კი თითქმის მოსპო. თუმცა ასეთი ვაჭრობა საქართველოს ქალაქებთან ნაწილობრივ მუდმივად არსებობდა.

თურქ-დამპყრობთა უღლისაგან განთავისუფლების შემდეგ ახალციხეში კვლავ გამოცოცხლდა საქალაქო ცხოვრება, განვითარდა მისი ეკონომიკის წამყვანი დარგები - ხელოსნობა და ვაჭრობა. იგი გაფართოვდა და გაიზარდა ტერიტორიულად. ეს განსაკუთრებით შესაძენი გახდა კავკასიისტური წარმოებით ურთიერთობის განვითარების შემდეგ.

კუსტარულ-ხელოსნური წარმოებით ცნობილ ახალციხეში დიდხანს იყო გაბატონებული ნატურალური მეურნეობისათვის დამახასიათებელი პატრიარქალურ-სემიარქალური ხელოსნობა. თვითფული ოჯახი საკუთარი საქართვეობისათვის მუშაობდა: პურს, ხაროს, ტილის, ტანსაცმელს: ქსოვდნენ ხალიჩებს, ფიჭებს, ფარდაებს, ნიხებს, ხურჯინებს, ტომრებს, შალებს და ა. შ. ამრიგად, საცხოვრებელი სახლი ამავე დროს „სახელოსნოც“ იყო.

შემდგომი პერიოდისათვის ახალციხეში ხელოსნობა იკვითარდება, რომ მისი მთლიანი ნაწარმი სასაქონლო ხასიათს ღებულობს. პირველ ხანებში ის აკმაყოფილებდა ადგილობრივ მოთხოვნილებას, შემდეგ კი ამარაგებდა ახალციხის ყოფილ საფაშოს და ნაწილობრივ აჭარა-იმერეთსაც. აქ მუშაობდნენ შეგვეთებზე კარდაკარ მოსარულე, ანუ ხელობაზე გამსელები ე. წ. „დამოუკიდებელი“ ხელოსნები: დალაქები, დურულე, მკალავები, მჭედლები, მღებრები, მხეხავები, მეთუნეები და ა. შ. ხელოსნური დარგებიდან, ძირითადად, განვითარებული იყო პირველადი მიზნარებისათვის - ფეხსაცმლის, ტანსაცმლის, საოჯახო ნივთების, სასოფლო სამეურნეო იარაღების წარმოება.

ახალციხელი ხელოსნები მუშაობდნენ ხელით, პრიმიტიული იარაღებით, საკუთარ პატარა სახელოსნოებში. დამზადებული პროდუქციის ადგილზევე გასაყიდად ქუჩისაკენ გადებული ქონდათ დარაბა-ფარდული, რომელიც იმავე დროს წარმოადგენდა დაქვანს, იყიდებოდა მზა პროდუქცია და მიღებოდა შეგვეთები. ე. ი. ამ შემთხვევაში სახელოსნო სავაჭროდუქნის მაგიერობასაც ეწეოდა, თვით ხელოსნები იმავე დროს ვაჭრობაც იყვნენ.

1830-იანი წლებიდან ახალციხის ხელოსნური წარმოება ისე სწრაფად განვითარდა, რომ სულ მალე საქართველოს ქალაქებს შორის, თბილისის შემდეგ, პირველი ადგილი დაიკავა. ხელოსნებს შორის ყველაზე მრავალრიცხოვანი იყვნენ ფეიჭები, მკერავები, ხარაზები, მჭედლები, კალატოზები, მათვე ჰყავდათ რაოდენობრივად ყველაზე მეტი შევირიდი და მოსწავლე. თანდათან იცვლებოდა ხელოსანთა დამატებითი შემადგენლობა. მეორედობდნენ და ისობობდნენ ზოგიერთ ძველი დარგის ხელოსნები: მესაგერცხლები, მესაპნები, მესანთლები, მრითავეები, მუხნაგირები, მყაითენები, მჭიბუხეები და სხვ. სამაგიეროდ წლით-წლით მრავალდობდნენ ახალი დარგის ხელოსნები: საკონდიტრო ნაწარმისა და სხვა დასხვა ინტარუმენტების ოსტატები, მესათები, მეღუმელები, მუყავეები, მჭეულები, ლუდ-ლიმონათის გამომზადლები, სასტამბო და ფოტოგრაფიის სპეციალისტები. სამითოდ ადგილი ჰქონდა ხელოსანთა დარბობრივ მატებას.

ახალციხელ ხელოსნებს შორის განსაკუთრებით განთქმული იყვნენ წარსართა ტრადიციებზე აზრდელი ოქრომეცხეები, ოქრო-ვერცხლის ნივთების და ცივი იარაღების - თოფების, ხმალ-სატყვრების, დანების, ხანჯლების და სხვათა დამზადებები. ამ ნივთებზე მოთხოვნილება დიდი იყო.

იარაღის ოსტატთა შორის 70-იან წლებში მიულ კაცანიაში ცნობილი იყო ა. ჩივასარაგვი, დამსაკუთრებით პისტოლეტების მოჭევადა-მოსევადადებით, რომლებიც თავისი სინატიფით, სილამაზით გამოირჩეოდა და დიდ შრომას, ენერჯიასა და მხატვრულ გემოვნებას მოითხოვდა. ამის გამო ძალიან ძვირად იყვასოდა. მათვე შეგვეთებს იღებდნენ სხვა ქალაქებიდანაც. გვიან პერიოდში, როცა თოფ-იარაღებზე მოთხოვნილება შემცირდა და ქარხნული პროდუქცია ბაზარზე მასობრივად გამოჩნდა, ახალციხელ იარაღის მკეთებლებს მომხმარებელ-დამკვეთნი შემუშვირდათ და გაკოტრებამდ მივიდნენ. ოქრო-ვერცხლის ოსტატები აკეთებდნენ ფილიგრანულ,

4 საქ. ისტორიის სახელმძღვანელო საშ. სკოლებისათვის, 1958 წ. გვ. 90-91.

5 იხ. თ. ლომოური, ჭოდალას განჩი, საქ. სსრ სსხ, მუზეუმის „შობა“ XIV ნ., 1947 წ. გვ. 132-35; დ. კანაძე, ზოგიერთი პალეოკლავი ქართული ფულის (დათრელებისათვის), იქვე, XI 2, 1941 წ. გვ. 147, 152; მისივე, ზარაფხანათა მომსახურების გამოშვების ცენტრების ლოკალიზაციისათვის შეკლ საქართველოში, იქვე, XXIII, № 4, 1959 წ. გვ. 508-10.



ანუ აქურთ ნივთებს — ცხენის აკაშმულობას, სხვადასხვა ფორმის სამკურნეებს, საფულეებს, ქაშრებს, ჯიხებს, ჭიჭის ბუდეებს, ასანთის კოლოფებს, მუნდშტუკებს და სხვ. დაახლოებით 84-მდე სახის ნივთებს. მათვე ახდენდნენ ოქრო-ვერცხლით, მინაქრით და ძვლით მოჭედვა-მოსვადების, რაც უთუოდ დიდ დახელოვნებას მოითხოვდა. ხელსაწყოებად გამოყენებული იყო: ჩაქური, მაკრატელი, სარჩილაკი ანუ დასაკავშირებელი მილი.

ახალციხეში კარგად იყო განვითარებული აგრეთვე „ოქრო-ნემსული“ — ოქრო-ვერცხლის და აბრეშუმის ძაფებით ქსოვილების ქარვაცე. ამკობდნენ წინდებს, ხელთათმანებს, პაიჭებს, ზონარებს, ფარდებს, ქალის ტანსაცმლის სარტყელ-გულის-პირებს, მოსასხამ შალს, პირბადებს, ბავშვის ზედა ჩასაცმელს და სხვ. შესრულების მაღალი ოსტატობით და სახეებისა და ფერების კარგი შეხამებით გამოირჩეოდა ხელსაქმის საუცხოო ნიმუშები. ამ საქმიანობის შესასწავლად ქალაქის ძველ ნაწილში არსებობდა ქალთა (დადათა) ქართული სკოლა, რომელიც ცნობილი იყო ქარვაცე-ქსოვის სწავლების მაღალი დონით. მის კვლევებში აღზრდილთაგან ბევრმა შექმნა ფერადი ძაფებით ამოქარგული მრავალი მხატვრული ტილო. მაგალითად, როზა ივანეს ასულმა მეფისაშვილმა მხატვარ ზინჩის ცნობილი ილუსტრაციის მიხედვით შექმნა ოქრომკვდით ნაქარგი სურათები — „შოთა რუსთაველი“, „ვეფხისტყაოსანის“ მიათრევის თამარს“ და „თამარ მეფე“.

ახალციხური „ფილიგრანული“ და „ოქრონემსული“ ნივთები საქართველოს სხვა მრავალ შესანიშნავ ხელოსნურ ნივთებთან ერთად ბევრჯერ იქნა გატანილი მსოფლიო გამოფენებზე — თბილისში, პეტერბურგში, აგრეთვე პარიზში, ლინდონში და თითქმის ყოველთვის საპატიო მედლები და ქეჩის სიგელები მოიპოვეს. მაგალითად, ოსტატმა ჩილინგაროვმა პარიზისა და ლონდონის მსოფლიო გამოფენებზე წარდგენილი ნამუშევრებისათვის მედლები და ფულადი ჯილდოები მიიღო. შემოთ დასახელებული დედათა სკოლის მოსწავლეს — ნატალია პეტრეს ასულ გიორგაძეს ხელნაკეთობისათვის (საქართველოს მეფეთა გერბი, რუკა და სხვ.) პარიზის გამოფენაზე წილად ხვდა ოქროს მედალი.

1872 წელს ახალციხის ხელოსანთა საქმიანობის გასაცნობად სპეციალურად მივლინებული რუსი მოხელე — ლ. ზაგურსკი წერდა: „ახალციხეს თავი მოაქვს აბრეშუმის აშიათა ზონართა გამოყვანითა და მეღებვით, უნაგირთა ბალიშების მოქარვით, დამბარების ჭდეული ლულების კეთებით, განსაკუთრებით ვერცხლის ფილიგრანული ნაკეთობით. რაოდენ სიწმინდე, სიზუსტე, სინატიფე და სილამაზეა მათ ნამუშევარში! ზოგიერთმა ხელოსანმა შესძლო მნიშვნელოვნად გაეუმჯობესებია თავისი ნაკეთობა. ერთმა მათგანმა მოსკოვის უკანასკნელ პოლიტექნიკურ გამოფენაზე ოქროს მედალი მიიღო საფიანის, ზამშის და სხვა ძვირფასი ტყავულისათვის“<sup>6</sup>.

ამ მხრივ საინტერესო ცნობას გვაწვდის აგრეთვე გაზეთ „დროების“ ერთ-ერთი კორესპონდენტი. იგი წერს: „ვენის



ოსტატი შოთა ერეკლევილი

მსოფლიო გამოფენაზე გასაგზავნად წარმოდგენილ ნივთებს შორის ახალციხის ხელოსნებისაგან შესანიშნავია ჩივითრით ნაკეთები ვერცხლეული ნივთები: ოქრომკვდით ნაკერი სუფრები, პურანგები და ყაბალახები. ეს ნივთები და საგნები ისეთი სისრულით ნაკეთები არიან, რომ აუცილებლად მიიტყვენ მხევერის ყურადღებას. მაინც საქართველოს არც ერთ ქალაქში არ იბოვება იმისთანა ხელოსნები, როგორც ახალციხეში და არც ერთი საქართველოს ქალაქი არ იძლევა ამ შემთხვევისათვის იმოდენა საგნებს გამოფენისათვის, როგორც ახალციხის ხელოსნები“<sup>7</sup>.

ახალციხური ფილიგრანით შესრულებული ვერცხლის სა-მაჯურები, აქურთი გულსაბნევეები და სხვა ნაკეთობანი გატანილი იყო 1958 წლის პარიზში მედლის დედაქალაქ მონიუსელში მოწყობილ მსოფლიო გამოფენაზეც. თბილისის შინამრეწველობის მუზეუმში ძველი ხელოსნების მიერ დამზადებულ ექსპონატებს შორისაა ახალციხელი ხელოსნების ფილიგრანული ნამუშევარი — ვაზა და ქაშრები, ოქრომკვდით ნაქარგი ძველი ქართული კაბები და სხვადასხვა სამკაულები.

<sup>7</sup> „დროება“, 1873 წ. № 7.

ახალციხელი ხელოსნების მიერ დამზადებული ნივთები



<sup>6</sup> Л. Загурский, Поездка в Ахалцихский уезд, 1873 г. «Зко-ириа» к. Н. VIII, 1873 г. стр. 24 შტრ. პ. გუბაშვილი, «საქართველოს ხელოსნობის დღეობა ამიერკავკასიაში, ეკ. ინსტრუქტის შტრ. VII, 1953 წ. გვ. 337.

მრავალი ძვირფასი ნივთია გამოფენილი აკად. ივანე ჯავახიშვილის სახელობის ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმშიც.

ოქროსა და ვერცხლის ნივთების ახალციხეში ხელოსნობამ გვიანამდე იარსება. რუსეთისა და სასულთნების ქარხნებში დამზადებული იაფი ნაწარმის კონკურენციისა და კუსტარულ ნაკეთობებზე მოთხოვნილებების შემცირების გამო იგი თანდათან დაეცა.

ახალციხეში მაღალგანვითარებული იყო აგრეთვე ტყავისა და აბრეშუმის წარმოება. 70-იან წლებში ქალაქში არსებული 9 საქსოვი დაზვიდან 3 გამოყენებული იყო აბრეშუმის სხვადასხვა ნაწარმის დამზადებისათვის. აქედან მცირე ნაწილი ხმარდებოდა ადგილობრივ მოსახლეობას, დანარჩენი სხვაგან გაქონდათ. დაზვიებს ემსახურებოდა 25 ხელოსანი-ფეიქარი და 500-ზე მეტი დაქირავებული ღარიბი ქალი, რომლებიც შავ სამუშაოს ასრულებდნენ. მათვე ამუშავებდნენ მატყლის გარეცხვა-დარჩევა-დართავაჯეც.

ახალციხეში ქსოვდნენ შალის ჩადრებს, ბამბის პირსახოცებს, სუფრებს, უხემ მალს და სხვ. მათგან ზოგიერთს დეზავდნენ ადგილობრივ სამღებროებში.

